# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ღირს ... კნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
**დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.**

---

მიიღება ხელის მოწერა

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1917 წ. წელიწადი მესამე **„საქართველო“** 1917 წ. წელიწადი მესამე

**ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით**

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატექნიკო ცოდნათა გავრცელებას.

**გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.**

**გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან:**

ავ. აბესაძე, ი. აბულაძე, დ. არონიშიძე, ა. ახათიანი, ალ. ახმეტელი, ვ. ბარნოვი, ეკ. გაბაშვილისა, რ. გაბაშვილი, განდეგილი, გ. გვაზავა, ს. გორგაძე, გ. გორდეზიანი, ვ. გუნია, შალვა დადიანი, ზ. ედილი, ი. ვართაგავა, გრ. ვეშაპელი, ეჭ. თაყაიშვილი, ინ-ბანი, პ. ინგოროყვა, ჩ. კაპანაძე, პოლ. კარბელაშვილი, დ. გ. კარიჭაშვილი, დ. კასრაძე, დ. კახელი, ს კედია, დეკ. კ. კეკელიძე, ნ. კურდღელაშვილი, Legatus, იას. ლორთქიფანიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ტ. მარგველაშვილი, კ. მაყაშვილი, ი. მაჭავარიანი, მელანია, შ. მღვიმელი, ნიკო ნიკოლაძე, გ. ჟორდანია, გრ. რობაქიძე, თედო სახოკია, ტ. ტაბიძე, ი. ფერაძე, შ. ქარუმიძე, ს. ქვარიანი, გ. ქიქოძე, ნ. ყიფიანისა, სვ. ყიფიანი, გ. ყიფშიძე, ვ. შალიკაშვილი, პროფ. ა. ცაგარელი, აპ. წულაძე, დ. ჭიაბრიშვილი, ზ. ჭიჭინაძე, მ. ჯანაშვილი, ლ. ჯაფარიძე, სამხედრო მიმ. ბ-ნი X.

**გაზეთის ფასი: მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით 9 მან., სამის თვით 5 მან., ერთის თვით ქალაქში 1 მ. 80 კ.**

**ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.**

არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშევი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით:

ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.

ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. ✦ რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ✦ კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს.-დე. საღ. 5—7-დე.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

მიიღება ხელის მოწერა

---

კვირას, 18 ქრისტეშობისთვეს, დილის 10 საათზედ დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

**ალექსანდრე თევდორეს ძის**

# ყიფშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძმები: გრიგოლ, ზაქარია და ილია (ყიფ-შვილით და დები: ევდუქსია ნადირაძისა, მარიამ სონღულაშვილისა და ბარბარე ავალიშვილისა

(2—307—1)

13 ქრისტეშობისთვეს, 1916 წ. ქუთაისში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა

**ნინო კონსტანტინე საყვარელიძის ასული,**

რასაც ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და ნაცნობთ გულმოკლულნი დედა მარიამ (ცუცუნა) სიმონის ასული საყვარელიძისა, ძმა სიმონ კონსტანტინეს ძე საყვარელიძე, და—თამარ ნადირაძისა მეუღლე ნიკოლოზით, ბიძა მღვდელი დავით გიორგის ძე საყვარელიძე მეუღლე მარიამით, ბიძაშვილები ვანო და ლადიკო ოჯახობითურთ. ვარლამ, პავლე, გრიგოლ საყვარელიძეები და. ვახასი დავითის ასული ტატიშვილის ქმრით ვლადიმერითურთ. დაკრძალვა მოხდება კვირას, 18 ქრისტეშობისთვეს, დილით, სოფ. საქარაში.

(1—305—1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

**შაბათს, 17 ქრისტეშობისთვეს,**

რუსულ დასის მსახიობნი დასდგამენ წარმოდგენას (ერთ მოქ. კომედია)

# ოპერეტას

1 მოქმ., და შემდეგ გაიმართება

**დივერტისმენტი.** ოპერეტაზედ, წარმოდგენაზედ და დივერტისმენტზედ შესვლა უფასოა.

სტუმრები საზოგადო წესით. ✦✦✦✦ **დასაწყისი საღამოს 9 ს.**

(1—306—1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

ამით აცხადებს, წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ **უკანასკნელ ვადად საწევრო ფულის გადახდისა 1917 წ. ითვლება 20 დეკემბერი 1916 წ.**

(2—304—1)

**დეკემბრის ბოლო რიცხვებში თბილისში გამოვა**

**სამხატვრო-სალიტერატურო კრებული**

# საფირონი

**კრებულში მონაწილეობას იღებენ:**

ალ. ახმეტელი, ბაბილინა, განდეგილი, შალვა დადიანი, მოსე თოიძე, თ. იანელი, ინ-ბანი, დ. კასრაძე, გ. ლეონიძე, კ. მაყაშვილი, შიო მღვიმელი, გ. მუშლაძე, ნარკანი, აკაკი პაპავა, ტრ. რამიშვილი, ს. ფაშალიშვილი, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი, ვალ. შალიკაშვილი, ლელი ჯაფარიძე, მ. ჭიაურელი, და სხვ.

**მისამართი:** თბილისი. ნიკოლოზის ქ. № 7. სანდრო შანშიაშვილს.

პროვინციის აგენტებმა წინდაწინვე უნდა გვაცნობონ, თუ რამდენ ეგზემპლიარს გაიწერენ.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ლეონიძე.

## სახალხო სახლი

**ოთხშაბათს, 19 ქრისტეშობისთვეს,** ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ **ვ. გამყრელიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**ჰერჰარტ ჰაუპტმანის პიესა**

# დაძირული ზარი

დრ. ზღაპარი 5 მოქ. თარგმ. ი. მაჭავარიანისა.

**უმთავრეს როლებს შეასრულებენ:** ტ. აბაშიძე—„რაუტენდლეინ“, ვ. გამყრელიძე—„წყლის ბერი“, გ. იმნაიშვილი—„ჰენრიხ“, ი. ზარდალიშვილი—„პასტორი“, ნ გვარაძე—„ქაჯი“, ნ. დავითაშვილი—„მაგდა“, ნ. ჯავახიშვილი—„ვიტიხა“. პიესაში მონაწილეობენ „ალხი“ და „ქონდრის კაცები“.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი აბაშიძე, დავითაშვილი, ქიქოძე, ქილარჯიშვილი, შოთაძე, ჯავახიშვილი, მჭედლიშვილი, მაჭავარიანი, ბ-ნნი იმნაიშვილი, ბარველი, გამყრელიძე, გვარაძე, ზარდალიშვილი, ფრონისპირელი, თარალაშვილი, ჩაგუნავა.

ადგილების ფასი 170 კ.—20 კ.-დე. ✦ ✦ **დასაწყისი საღ. 8 საათზე.**

**ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.**

(3—303—1)

**გამოცემა „ამხანაგობისა“**

გამოვიდა ¢ იყიდება ყველგან

**„ბედი ქართლისა“ ნიკ. ბარათაშვილის სრული ფაქსიმილე**

**ფასი ერთი მანეთი.**



წიგნი წარმოადგენს სრულს ასლს ნ. ბარათაშვილის ხელნაწერისას (ვეზირიშვილის ვარიანტი).

ვისაც ფოსტით უნდა გამოწერა, უნდა მიმართოს: Тифлисъ Бол. Ванкская № 12. ივანე მათეს ძეს ნაცვლიშვილს.

# საბურთალოზე

(საგაბაშვილო თხინვალის აგარაკი)

**სამოსახლოების მყიდველთა საყურადღებოთ**

ჩვენ დავსჭერით და გავჰყიდეთ ადგილები, ძლიერ იაფად საბურთალოზე რადგანაც ამას გვაიძულებდა გარემოება... მაგრამ მიუხედავათ ამისა, ხვედრი ფული მაინც თავ-თავის ვადაზე არ შემოდის, ამისათვის ერთხელ და უკანასკნელად კიდევ ვაცხადებთ საყოველთაოთ, ვინც მთელი სამოსახლოს ღირებულობის ათი თვის ხვედრს შემოსატანს ფულს არ წარმოადგენს, ამ 1917 წლის პირველ იანვრამდის, მათ ადგილის დასაკვეთად შემოტანილი ბეიც აღარ დაუბრუნდებათ და დაკვეთილი სამოსახლო ადგილებიც აუცილებლად ჩამოერთმევათ და სხვა პირებზედ დაიყიდება.

ამ სთანავე ვაცხადებთ, ვისაც სამოსახლოების შეძენა სურს საბურთალოზედ, 1917 წლის პირველ იანვრიდან მიბრძანდენ იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძესთან (ქვაშვეთის ქუჩა № 5 წიგნის მაღაზია „ცოდნა“ და შეიძინონ დატოვებული ადგილები.

**ივანე ზაალის ძე სვანიშვილი, იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძე და სევასტი მიხეილის ძე გაჩეჩილაძე.**

(10—418—7)

**ექიმმა**

# გ. მ. მუხაძემ

მოსკოვში წასვლის გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა 28 ქრისტეშობისთვემდის.

**ექიმი**

## შ. ი. ვარნაძე

იღებს **ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს** მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 6—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

**ექიმი**

## კ. ი. ვვარჯალაძე

**შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

# ახალი აფთიაქი

**პროვიზორის ახვლედიანისა**

# ექიმი

# ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

**მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი,** სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

**ერლიხის „914“ და „606“**

**შეშხაპუნება**

**ექიმი**

# მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

# კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

---

# ქართული გაზეთი

ახალი წელიწადი ახლოვდება და ქართული გაზეთები ძალების მობილიზაციას იწყებენ მკითხველების დასაპყრობად. თანამშრომელთა სიაში მეტად თუ ნაკლებად ბრწყინვალე სახელებს აცხადებენ, ხელისმომწერლებს სხვა და სხვა ნაირ ჯილდოსა და შეღავათს ჰპირდებიან. ასეთი ქცევა სრულიად ბუნებრივია. ქართულ ბეჭდვითი ორგანოს ჩვეულებრივ სხვა შემოსავლის წყარო არ აქვს გარდა ხელისმოწერისა ან ხელზე გაყიდვისა და მკითხველი საზოგადოების მოპოება და შენარჩუნება მისთვის ყოფნა-არყოფნის საკითხს წარმოადგენს.

სხვაგან, კულტურულ ქვეყნებში, ასე როდია. გაზეთი ყველგან უფრო დიდს პატივისცემაშია და ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან პერიოდულ გამოცემას რამდენიმე წყარო აქვს არსებობისათვის. სადაც ეროვნული სახელმწიფო არსებობს, იქ მთავრობა თვით სცემს რამდენიმე გაზეთს თავისი შეხედულებისა და სურვილების გასავრცელებლად ან კიდევ კერძო გამოცემებს უწევს დახმარებას საჭიროებისამებრ. მაგრამ ოფიციალური თუ ოფიციოზური გაზეთების რიცხვი რაც უნდა იყოს მაინც განსაზღვრულია. განსაზღვრულია ჩვეულებრივ მათი გავლენაც, მიტომ რომ ძლიერი ნიჭითა და დამოუკიდებელი ხასიათით აღჭურვილი ჟურნალისტები იშვიათად თავსდებიან დაკანონებული აზროვნების ჩარჩოებში და თავისუფალ ორგანოებში თანამშრომლობას არჩევენ. დიდს ევროპიულ გაზეთებს არც სჭირდებათ მთავრობის ფინანსიური დახმარება. მართალია თანამშრომლებს კარგს ჰონორარს აძლევენ და სხვაფრივაც უზომო ხარჯებს ეწევიან (განსაკუთრებით ინფორმაციის გულისთვის), მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი წყაროს შემწეობით ადვილად ასდიან ამ უზომო ხარჯებს. ეს წყარო—რეკლამა და განცხადებაა. დასავლეთ ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში მრეწველობა და აღებმიცემობა რეკლამასთან მჭიდროთ არის შეკავშირებული და ყოველი მნიშვნელოვანი ფირმა დიდძალს ფულს ხარჯავს თავის სახელისა და თავის ნაწარმოებების გაზეთის ფურცლებზედ გამოსაფენად. უგანცხადებოთ ვერც ერთი დიდი და გავლენიანი ევროპიული გაზეთი ვერ იარსებებდა: იძულებული გახდებოდა ზომა შეემცირებინა ან ფასი გაედიდებინა. ყველაზე მეტად განცხადებების სიმრავლეს უნდა უმადლოდეს ევროპიული მკითხველი იმას, რომ მისი გაზეთი ასე მრავალშინაარსიანი და იაფია: ომის დაწყებამ პარიზული გაზეთების ჩვეულებრივი ფასი ერთი სუ იყო (ე. ი. ორი კაპ.), გერმანული გაზეთებისა კი ათი ფენინინგი (შაურზე ცოტა ნაკლები). ამ მცირე ფასში მყიდველს ათ ან ოცგვერდიანი ყოველდღიური გამოცემა ეძლეოდა წასაკითხავად.

ესეცაა რომ გავრცელებული გაზეთების ტირაჟი დასავლეთ ევროპაში მეტის მეტად დიდია და თვითეული ეგზემპლიარი შედარებით იაფად ჯდება. პარიზში ხუთიოდე დიდი გაზეთი გამოდის, რომელთა ტირაჟი, თვით რედაქციების ცნობით, ომის დაწყებამდე დაახლოებით მილიონსა და ორასი ათას ცალს აღწევდა. გერმანულ ენაზე ბევრად მეტი პერიოდული გამოცემა იბეჭდება. თვით პატარა გერმანულ ქალაქებსა და დაბებს თავისი ორგანოები აქვთ, მაგრამ ისეთი გავლენიანი გაზეთების ტირაჟი,

როგორიც მაგალითად „ბერლინერ ტაგებლატი“, „ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ ან „ნოიე ფრაიე პრესსე“ არის, ნახევარ მილიონ ცალამდე აღწევს.

ცოტა არ იყოს უხერხულიც არის დიდ ევროპიულ გამოცემების შემდეგ ქართული გაზეთების მდგომარეობაზე ლაპარაკი. იშვიათია, რომ ქართული ბეჭდვითი ორგანოს ტირაჟი ათი ათას ეგზემპლიარს გასცილებოდეს. სამრეწველო და საალებმიცემო რეკლამა ჩვენში ჯერ კიდევ არ არის შემოღებული. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მხოლოდ ორიოდე შემთხვევითი განცხადება იბეჭდება და რამოდენიმე ახირებული სამგლოვიარო უწყება, სადაც მიცვალებულთან ერთად ყველა მისი ახლობელი და შორეული მოკეთეების სახელებია ჩამოთვლილი.

ქართული გაზეთის მდგომარეობა სხვაფრივაც ნაკლებ სახარბიელოა. გამოცემისა და რედაქციის საქმე ჩვეულებრივ გაუყოფელია და ერთი და იგივე ადამიანი ერთსა და იმავე დროს რედაქტორიც არის, მწერალიც, გამომცემელიც, კანტორის გამგეც და ექსპედიტორიც. ამ მრავალმხრივი მოღვაწეობისთვის ქართველ ჟურნალისტს ჩვეულებრივ იმდენად მცირე გასამრჯელო ეძლევა, რომ იძულებული ხდება, გაზეთის გარეშე კიდევ სხვა რაიმე სახსარი გამონახოს არსებობისათვის. ამიტომ რა გასაკვირალია, რომ ქართველი ჟურნალისტები მეტის მეტად ჩქარა გადიან ამ ქვეყნიურ ცხოვრებისათვის მიზომილ გზას, მეოცდახუთე წელზე სალიტერატურო კარიერის უმაღლეს მწვერვალს აღწევენ, ბოლოს მეოცდაათეზე „ყოფილ ადამიანთა“ რაზმში ეწერებიან.

ამ უმსგავსო პირობების მიუხედავად ქართული პრესის ისტორიაში მაინც მოიპოვება რამდენიმე სასიქადულო სახელი. ამ სახელების პატრონები ზოგნი უდროოდ დაიხოცნენ, ზოგნი გაზეთს ძალაუნებურად ჩამოსცილდნენ. მაგრამ იშვიათია, რომ ქართველ ჟურნალისტს ზნეობრივი ვალდებულებისათვის ეღალატოს ან ქედი მოეხაროს ამ ქვეყნიური ბატონების წინაშე. თუ მას რაიმე შეცოდება ჩაუდენია, ისევ თანამედროვე ცოდნისა და კულტურის წინაშე და ეს ცოდვაც ასე თუ ისე გამოუსყიდია თავისი გულწრფელობითა და თავისი უანგარობით.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიაც, პრესამ დიდი კულტურული როლი შეასრულა. და ამ როლის მნიშვნელობა თან და თან იზრდება ჩვენი ქვეყნის გაევროპიელებასთან ერთად. თანამედროვე ადამიანი საქმეებით იმდენად დატვირთულია, რომ ჩვეულებრივ დრო აღარ რჩება დიდ ტომიანი და საფუძვლიანი წიგნების საკითხავად. იძულებულია გაზეთში ეძებოს საჭირო ცოდნა და ცნობები; გაზეთი უმეტეს შემთხვევაში საუნივერსიტეტო კათედრისა, საპარლამენტო ტრიბუნისა და წიგნთსაცავის მაგიერობას სწევს, ერთი სიტყვით, პრესა უძლიერესი იარაღია საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად.

თუ ქართული პრესა ამ დიდს ვალდებულებას პირნათლად ვერ ასრულებს, ეს იმდენად თვით წინამძღოლების ბრალი არ არის, რამდენადაც დუხჭირი ობიექტური პირობებისა. ჩვენი გაზეთის მთავარი მასაზრდოებელი ძალა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მკითხველი საზოგადოებაა, ქართველ ერში კი ნაკლებ არის განვითარებული გაზეთის კითხვის მოთხოვნილება. ერთი შედარება ნათელ ჰყოფს ჩვენ კულტურულ ჩამორჩენას. ისლანდიის კუნძულზე, სადაც დაახლოებით იმდენი ხალხი სცხოვრობს, რამდენიც ჩვენს პატარა გურიაში, ხუთჯერ მეტი პერიოდული გამოცემა იბეჭდება, ვიდრე მთელს საქართველოში. ეს სხვათა შორის იმით აიხსნება, რომ ყოველმა ისლანდიელმა წერა-კითხვა იცის, საქართველოში კი ჯერ ისიც არ არის გამორკვეული, თუ რამდენია წერა-კითხვის მცოდნე.

უმეცრების გარდა ქართული გაზეთის გავრცელებას ფოსტის უწესრიგობა და გზების უქონლობა აფერხებს. ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ პროვინციაში ყოვლად შეუძლებელია საფოსტო ამანათების დაგზავნა. არის მივარდნილი კუთხეები, სადაც ქართული გაზეთი ორი-სამი კვირის მოგზაურობის შემდეგ მიდის. ამას ზედ ერთვის საფოსტო გადასახადის სიდიდე და დამტარებლებისა თუ აგენტების უთაურობა.

არა თუ ხალხის ფართო წრეები, ქართულ გაზეთს ჯერ კიდევ ეგრედ წოდებული განათლებული საზოგადოებაც კი არ დაუპყრია. ცნობილია, რომ საქართველოს დედა ქალაქში რამდენიმე გადაგვარებული ადამიანი, ახირებულ ჟარგონისებურ ენაზე, ვითომდა რუსულ გაზეთს სცემს. ამგვარ გამოცემებს სამწუხაროდ ჯერ კიდევ გასავალი აქვს ქართველ საზოგადოებაში. მაგრამ ამ ბოლო დროს საბედნიეროდ ნელ-ნელა კლებულობს მათი გავლენა. ნამდვილი რუსული პრესის წინაალმდეგ, რასაკვირველია, არაფერი გვეთქმის. დიდათ სასურველიცაა, რომ არა თუ რუსული, თვით ევროპიული პრესის იდეებსაც ვეცნობოდეთ. მაგრამ ეს გაცნობა უშუალოთ უნდა მოხდეს და არა უგვანო შუამავლების შემწეობით. ენა ხომ აზრების გარეგნული ფორმაა! ვინც ჟარგონს ლაპარაკობს ან სწერს, ალბად ბევრს ვერაფერს გამოსთქვამს, გარდა უბადრუკი და მახინჯი აზრებისა.

მაგრამ ყველა დაბრკოლების ძლევა შეიძლება, თუ ქართული პრესის მეთაურები და მუშაკები ერთსულოვნობას და თვითმოქმედებას გამოიჩენენ. ქართული გაზეთი მაინც ძვირფასი კულტურული მოვლენაა თავისი მრავალმხრივი ნაკლოვანებების მიუხედავად. ყოველი შეგნებული მამულიშვილის ვალია მიმართულების მიუხედავად დახმარება გაუწიოს ქართულ პრესას, რომელიც ახლა ბორძიკობს, მაგრამ მომავალში ალბად ამაყად თავაღებული ივლის. ასეთი შეგნება სავალალოდ ჯერ კიდევ განვითარებული არ არის ჩვენს ინტელიგენციაში. გამთიშავი ძალა ჩვენს ბუნებაში კიდევ ძლიერია და ჩვენს შორის მოიპოვებიან პარტიული ფანატიკოსები, რომელნიც ახალი წლისთვის რომელიმე მეტოქე ბეჭდვითი ორგანოს გულწრფელად დახურვას უსურვებენ. ასეთი სურვილი გონებრივი სივიწროვისა და სიბეჩავის მაჩვენებელია. ყოველი ქართველი ჟურნალისტი, სოციალ-დემოკრატია ის, სოციალისტ-ფედერალისტი თუ ნაციონალ-დემოკრატი თავისებურად ემსახურება საერთო სამშობლოსა და მათი მოღვაწეობის დაფასება დღეს შეუძლებელია: მომავალი თაობა იტყვის, ვინ ადგა უფრო სწორ გზას. რაც უნდა იყოს არ შეიძლება ეროვნული კულტურა ერთი რომელიმე პარტიის ფარგალში მოექცეს. ამიტომ სასურველია, არა თუ არსებული ქართული გაზეთების დღეგრძელობა, არამედ ახალი ბეჭდვითი ორგანოების დაარსებაც. სასურველია, რომ საქართველომ შორეული ისლანდიის მდგომარეობას მაინც მიახწიოს.

ვ. ლელიანი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

გუშინდელმა ოფიციალმა დეპეშამ რუმინეთის ასპარეზის შესახებ ფრიად საყურადღებო ცნობები მოგვაწოდა. მოპირდაპირეს საშინელი იერიშების შემწეობით აუძულებია რუს-რუმინეთის ჯარი დაეტოვებინა ქ. რიმნიკ-სერატი და მდ. რიმნიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაეხია. ეს უკვე დიდი სტრატეგიული გამარჯვებაა გერმანელთათვის. რიმნიკ-სერატის დაპყრობით მოპირდაპირეს საშუალება ეძლევა გაილაშქროს, როგორც გალაცისაკენ, აგრეთვე მოლდავეთის ბრძოლის ველზე ზურგიდან დაუწყოს მუქარა. არა ერთხელ გვითქვამს, რომ დღევანდელ რუმინეთის ოპერაციის კვანძი მოლდავეთის ასპარეზზე უნდა ვეძიოთ. მასთანავე, თუ მოპირდაპირეს რუმინეთის ოპერაციის გაგრძელება აქვს გადაწყვეტილი, რომელსაც მთელი აღმოსავლეთის ბრძოლის ველის ახმაურება მოჰყვება, მაშინ, უეჭველია, მოლდავეთმა უპირველესი როლი უნდა ითამაშოს. სწორედ ეს აზრი გამოვსთქვით ხუთშაბათის ნომერში:

„მკითხველებმა უკვე იციან, რომ ბოლო დროს მოლდავეთის ასპარეზი უკვე თვალსაჩინოდ ახმაურდა. სწორედ იმ დროს, როდესაც მოპირდაპირე გაშმაგებულ იერიშს აწარმოებს რიმნიკის წინაალმდეგ, მდ. ტროტუშიდან, ოიტუზიდან და მდ. სუშიდანაც იწყებს იერიშებს. ბევრისათვის ეს იერიშები დემონსტრატიულ ხასიათისაა. მათის ფიქრით, მოპირდაპირე მხოლოდ იმას ლამობს, რომ ოდნავ შეასუსტოს რიმნიკში მდგომი რუს-რუმინეთის ჯარი და ამ რიგად გაიადვილოს ამ ფრიად საყურადღებო ძალის წინაალმდეგ მოქმედება. ჩვენ გვგონია, ასეთი გადაწყვეტილის აზრის გამოტანა ნაადრევია. მდ. ოიტუზს, ტროტუშს, სუშიცას ძალიან ადვილად შეიძლება გადამწყვეტი როლი ერგოთ დღევანდელ ოპერაციაში. აქედან წამოსული მოპირდაპირე გადასწყვეტს არა მარტო რიმნიკ-სერატის ბედს, ან და ფოშქერისას, არამედ მთელ რუს-რუმინელთა ჯარს აიძულებს დასტოვოს რუმინეთის მიწა-წყალი და გადვიდეს რუსეთის გუბერნიებში, რადგან, უეჭველია, გერმანელნი აქედან მდ. სერეტის გადალახვასაც განიზრახვენ“.

ოფიციალი დეპეშა ამბობს, რომ მოპირდაპირეს მრავალრიცხოვანმა ჯარმა იერიშები მოიტანა მდ. ოიტუზით და მდ. დოციანით და რამდენიმე სიმაღლეები აიღო. თუ რა განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით მდინარე ოიტუზს და მის მიდამოებს ადრევე, ეს მკითხველებს კარგათ ეხსომებათ. ძნელი წარმოსადგენი იყო გვეფიქრა, რომ მოპირდაპირე აქ მარტო დემონსტრაციას ახდენდა გული დღევანდელ ბრძოლის ხაზისა სწორედ ეს მიდამოა და თავის-თავად ცხადი უნდა ყოფილიყო ყველასათვის, თუ რა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა მოპირდაპირე სწორედ ამ მდინარეებს. გარდა ამისა, აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე მოპირდაპირეს პენიაკის მიდამოებში ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გაუჩენია. მათ თითქმის სრულებით გაუნადგურებიათ პირველი წყება სანგრებისა.

X.

## ომის დეპეშები

16 ქრისტეშობისთვე.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი**, ოფიციალი ცნობა. დასავლეთის ასპარეზი. ზარკუვის აღმოსავლეთით და პენიაკის მიდამოებში, გარბუზოვის მხარეს და გუკალოვცე-ავგუსტოვკის ტყეში, მოპირდაპირე მედგრად უშენდა ჩვენს სანგრებს მძიმე ზარბაზნებს და გაუბიცებს. მდ. ნარაიუვკაზე (ზოლოტოი ლიპის მარცხენა ტოტია) ჩვენი მზვერავები გაღმა გავიდნენ სოფ. სვისტელნიკთან, მტრის დარაჯები განდევნეს და გამოღმა გამოზიდეს მტრის დამზადებული ეკლიანი მავთულები. გალიჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სემიკოველესთან მოპირდაპირემ მდ. დნესტრზე გადმოსვლა სცადა, მაგრამ სროლით შევაჩერეთ. გლიახოვტეძდან სემისმეზომდე, მოლდავიის საზღვარზე, მოპირდაპირემ ძლიერის ჯარით შემოგვიტია, ჩვენს ჯარს უკან დაახევინა მდ. დოფტიანის ველის სამხრეთით და ჩრდილოეთით აიღო მაღლობები, აგრეთვე ხელთ იგდო მაღლობები მდ. ოიტუზის ველში სესმეზოს აღმოსავლეთით. ბრძოლა გრძელდება. სესმეზოს სამხრეთით მოპირდაპირის შემოტევა შევაჩერეთ.

ზარბაზნებით ჩამოვაგდეთ მტრის საფრენი, რომელიც ოკნას მიდამოებში დაეცა. მფრინავი და მეთვალყურე დავატყვევეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** ვანის სამხრეთით ატამანის სამხრეთით მდებარე მთელი უღელტეხილი დავიჭირეთ. ოსმალებმა სოფ. ილისკენ დაიხიეს.

**რუმინეთის ასპარეზი.** ცხარე ბრძოლის შემდეგ, რომელშიაც მტრის ძლიერი ჯარი იღებდა მონაწილეობას, ჩვენი ჯარი იძულებული გახდა რიმნიკ-სარატის რკინის გზის მიდამოები დაეტოვებინა და მდ. რიმნიკის გაღმა გადმოსულიყო. დუნაის სამხრეთით მოპირდაპირის იერიშები მოვიგერიეთ. ვიზირუს დასავლეთით ბრძოლაში მონაწილეობდა ინგლისის ჯავშნიანი ავტომობილები. ამ ავტომობილთა რაზმის უფროსი ქრისტეშობისთვის 13 ს ბრძოლაში დაიჭრა, მაგრამ 14 ქრისტეშობისთვის ბრძოლას მაინც ხელმძღვანელობას უწევდა და მტერი უკან გააბრუნა. დობრუჯაში მტერი ყველა სადარაჯოებზე მოვიგერიეთ, გარდა სოფ. რაკელისა, რომელიც მოპირდაპირემ აიღო.

15 ქრისტეშობისთვე.

**რომი.** იტალიელების მთავარსარდლის ოფიც. ცნობა. კარსოზე, ფელმის მის სამხრეთით, მოულოდნელის იერიშით 300 ადლის სიღრმეზე შევიჭერით მტრის ბრძოლის ხაზზე. 9 ყუმბარის ნათხარი ავიღეთ. ამ ადგილებში მივაგენით 150 ყუთს ზარბაზნის ყუმბარებით.

**პარიზი.** მთავრობამ ჟოფრს საფრანგეთის მარშლის წოდება უბოძა სამსახურისათვის. მახლობელ აღმოსავლეთის ლაშქარი საფრანგეთის სამხედრო მინისტრს დაექვემდებარა.

16 ქრისტეშობისთვე

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. ვაშროვილის ხაზზე მოპირდაპირე ძლიერს სროლას აწარმოებდა ზარბაზნებით.

11 ქრისტეშობისთვეს შონის მახლობლად მტრის ერთი საფრენი ჩამოაგდო პორუჩიკმა ერტომ.

**იასი.** ახალი სამინისტრო შესდგა ლიბერალებთან და კონსერვატორებთან შეთანხმებით. სამინისტროში აირჩეს: ბრატიანუ—პრემიერად და საგარეო საქმეთა მინისტრად, კოკეონესკუ, კოსტინესკუ,—უპორტფელო მინისტრებად, პიკტონესკუ—ფინანსთა მინისტრად, კანტაკუზენი—იუსტიციის მინისტრად, ისტრასი საზოგადო ხამე შოთა მინისტრად.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### გერმანეთი.

კანცლერის სიტყვა.

29 გიორგობისთვეს, გერმანეთის რაიხსტაგში იმპერიის კანცლერმა ბეტმან ჰოლვეგმა დიდი ისტორიული სიტყვა წარმოსთქვა. მოგვყავს ნაწყვეტები:

„რუმინეთის გამოსვლის დროს მდგომარეობა შემაფიქრიანებელი იყო, მაგრამ ღვთის შეწევნით ჩვენმა ბრწყინვალე ჯარმა ისე მოატრიალა საქმე, რომ წინანდელზე მეტი რწმენა და გამბედაობა მოგვეცა.

დასავლეთის და იტალიის ასპარეზზე საქმე ჯერ მაგრათ არის, მაგრამ ჰინდენბურგიც არა სთვლეს. ჩვენი ეკონომიური უზრუნველყოფა ყოველივე საკითხის გარეშეა. ჩვენს მტრებს თვითონვე ვერ მოუშორებიათ თავიდან შიმშილის აჩრდილი, რომელსაც ჩვენსკენ უთითებდნენ.

თუმცა ჩვენი მტრები ვერ ეღირსებიან გერმანელ ერის დაქანცვას, გერმანეთი მაინც მუდამ მზად იყო ზავის ჩამოსაგდებად, რადგანაც მას თავისი ძლიერება არ უხშავს პასუხისმგებლობის გრძნობას ღვთისა, თავისი ერისა და კაცობრიობის წინაშე. წინად მტრები ზავის წინადადებაზე პასუხის ღირსად არ გვთვლიდნენ. ეხლა კი კვლავ ახალი ნაბიჯი გადავდგით წინ, რუმინეთის დაპყრობით.

თავისი ერისა და კაცობრიობის წინაშე ჩვენი იმპერატორი ღრმესად ჰგრძნობს ზნეობრივს და სარწმუნოებრივს მოვალეობას; იგი დარწმუნდა, რომ ზავის ჩამოგდების ჟამმა დაჰკრა. ამისთვის გადასწყვიტა მოპირდაპირე სახელმწიფოებისათვის ზავზე მოლაპარაკების შეთავაზება. 1914 წელს ჩვენმა მტრებმა წამოაყენეს სამხედრო ძლიერების საკითხი, ჩვენ კი ეხლა საკაცობრიო მშვიდობიანობის საკითხს ვაყენებთ. თუ მტრები არ შეიწყნარებენ ჩვენს წინადადებას, იმედი მაქვს ყოველ გერმანელის გული კვლავ აღიგზნება წმინდა ცეცხლით მტერთა მიმართ, რომელთაც განადგურებისა და დაპყრობის აზრით არა ჰსურთ ხალხის ჟლეტას ბოლო მოეღოს. ჩვენ უდრკელად და გულ და გულ ვივლით ბრძოლის ველისაკენ, თუმცა მშვიდობიანობის დასამყარებლადაც მზად ვიქნებით.

დეპ. შეიდემანი.

გერმანელ სოციალ-დემოკრატიის მეუმრავლესეთა ბელადი რაიხსტაგის დეპუტატი შეიდემანი გერმანეთის ქალაქებში მოგზაურობს და კანცლერის პოლიტიკის სასარგებლოდ ქადაგებს. ამას წინად ჰელზენკირხენში განაცხადა: გერმანელი სოც.-დემოკრატები სავსებით იზიარებენ კანცლერის განცხადებას და გერმანეთის ნოტა სრულიად ეთანხმება ეროვნულ-დემოკრატიის უმრავლესობის პროგრამასაო.

### ავსტრია

მეფის დაგვირგვინება.

უნგრეთის პალატაში დიდი კამათი იყო იმის თაობაზე, თუ ახალ იმპერატორ კარლისათვის ვის უნდა დაედგა გვირგვინი. პალატამ 210 ხმის უმეტესობით 108 წინააღმდეგ, დაადგინა: იმპერატორ კარლოსს დაგვირგვინების დღეს, რომელიც ამ თვის გასულს მოხდება, გვირგვინი ტისამ დაადგას.

პარტიების გაერთიანება.

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ი გადმოგვცემს: ავსტრიის საპარლამენტო პარტიათა და მთავრობის შორის მოლაპარაკებაა რაიხსტაგის მომავალ არჩევნების თაობაზე. ავსტრიაში მყოფ გერმანელების ყველა პარტიები, თურმე, სოციალისტებიანათ გაერთიანებას აპირებენ.

ახალი სამეფო.

ავსტრიის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელი კლამ მარტინიცი მომხრეა, თურმე, ავსტრია-უნგრეთში სამი სამეფო იყოს და არა ორი, როგორც ეხლაა. ამ საშუალებით ჰსურთ უნგრეთის ძლიერებას დაუპირდაპირონ კიდევ სამხრეთ-სლავიანთა სახელმწიფო.

### შვეიცარია.

ნეიტრალობის გადალახვა.

„მატენ“-ის სამხედრო კრიტიკოსი მაიორი სივრე სწერს: მოსალოდნელია, გერმანელებმა შვეიცარიის ნეიტრალობა დაარღვიონ და საფრანგეთს შვეიცარიის მხრიდან მოაწვნენ.

ჰინდენბურგის ახალი გეგმა.

პარიზიდან „რ. ს.“ თანამშრომელი იტყობინება: აქ საკმაოდ შეფიქრიანებულნი არიან, რომ ზავის წინადადებაზე უარის მიღებით აღშფოთებული გერმანეთი გადალახავს შვეიცარიის ნეიტრალობას და თავდაპირველის შეტევით შვეიცარიის მხრიდან მოგვადგება ძლიერი ლაშქრითაო. ამბობენ, ვითომ გერმანეთის შტაბი უკვე შემდგომია ფართე გეგმით ამოქმედებას მდ. სონის ველისაკენ.

სონის ველი დედაძარღვია საფრანგეთის სამხედრო ძლიერებისა, რადგანაც აქაა გაშენებული კრეზოს ზარბაზნების ქარხნები. ამ მიზნისათვის უნდოდათ გერმანელებს ვერდენის დაპყრობაც, მაგრამ რაკი ეს ვერ მოხერხდა, ჰინდენბურგმა სამოქმედო გეგმა შესცვალა, მიზანში ამოღებული კი ისევ კრეზოს ქარხნები აქვსო.

თუ გერმანელებმა შვეიცარია გადალახეს, სულ 4 მოხლი გზა ექნებათ საფრანგეთის საზღვრამდე, რადგანაც 100 ვერსი თუ იქნება მთელი მანძილი ბაზელიდან პონტარლიემდე, მდ. იურის ველით, რომელიც მიჯნების ჩაყოლებითაო.

### რუმინეთი.

ბუქურეშტში

რუმინეთის გზათა მინისტრს ანგელესკუს, რომელიც ბუქურეშტის დაცლას ხელმძღვანელობდა, უთქვამს: მტრის შემოსვლისას ქალაქში მცხოვრებთა ორმესამედზე მეტი დარჩა. ამათ გარდა იქვე დარჩნენ ვლახეთიდან შემოხიზნულნიც. მცხოვრებთ იმდენი სანოვაგე დავუტოვეთ, რომ ახალ მოსავლამდე გასწვდებათო. კერძო ცნობებით კი ბუქურეშტში დიდძალი სანოვაგე დარჩენილა. ჯერ ერთი თვითონ დამრჩომი მცხოვრებნი ჰმალავდნენ სანოვაგეს შავი დღისათვის, მეორეც მთავრობას აღარ დასცალდა, რომ ბუქურეშტიდან ყველაფერი გაეზიდნა. ბუქურეშტის დაპყრობის ორი კვირით წინ, რამდენიმე პირი ჰყიდულობდა თურმე, ერბო-კარაქსა და ყოველგვარ ქონეულობას. ეხლა გამოირკვა, რომ ესენი გერმანელების მოტრფიალენი ყოფილან. ბუქურეშტიდან ერთი ნამცეცი ქონეულობაც ვერ გაუტანიათ.

როდესაც რუმინეთის სამხედრო და სამოქალაქო მთავრობამ ბუქურეშტიდან გავიდა, ხალხი სახლებსა და სარდაფებში ჩაიკეტა. ერთხანს ქუჩები მთლად დაცარიელებული იყო, არავის გაუჭაჭანია, რადგანაც ეშინოდათ გერმანელები ქალაქს ზარბაზნების სროლას აუტეხენო.

მაგრამ მალე გამოჩნდა ღია ავტომობილში მჯდომი დეპუტატი კარპი. ხალხი ნელნელა გამოიშალა ქუჩებში. კარპი ამშვიდებდა ყველას, სროლა არ მოხდება. მაშინ ქუჩები ხალხით გაიჭედა. კარპი მოლოიტინ-ტიტუს გზისაკენ გაემართა ბუქურეშტისაკენ მომავალ გერმანელების შესაგებებლად.

## უკანასკნელი ცნობები

**ჯაშუშობისათვის ჰესენში (გერმანეთში) 20 ბელგიელს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, 35 კატორღა და 11 დახვრეტა.**

—

ამბობენ, ამ ორი დღის წინად ერთ-ერთ მინისტრის ბინაზე საზონოვის მონაწილეობით მინისტრთა ერთს ჯგუფს საგანგებო და საგულისხმო კრება ჰქონდათ. კრება ოთხს საათს გაგრძელებულა და უთათბირნიათ საგარეო პოლიტიკის შესახებ. მინისტრებმა დაასკვნეს: აუცილებლად უნდა აღსრულდეს პალატის მიერ დასახული წინადადებაო.

—

გერმანეთის იმპერიის კანცლერს დაევალა გამოსცეს 2 მილიონ მარკის ალიუმინის ფული. დიამეტრი ამ ფულისა უდრის 16 მილიმეტრს. 1250 ცალი ერთ კილოგრამს იწონის.

—

გერმანელები საზამთრო კამპანიისთვის აუარებელ თხილამურებს აკეთებენ, რომ უფრო მსწრაფად მოხდეს სურსათ-სანოვაგის და საომარ მასალის გადატანა, განზრახვა აქვთ ამ თხილამურებზე მატორები დაჰდგან.

—

„მთავრობის უწყება“ სწერს: სამიოთხის დღის განმავლობაში მთელს რუმინეთის ფრონტზე და კარპატებში უდიდესი და უსასტიკესი ბრძოლა სწარმოებდა. დუნაის მარცხენა ნაპირის რაიონში რაღაც დიდი ცვლილება უნდა მომხდარიყო, რადგან მოწინააღმდეგემ თანაბარი ოპერაცია ჩრდილო რაიონებში დაიწყოთ. თუმცა მოწინააღმდეგემ რუმინეთის ხაზზე კვლავ დიდძალ ჯარს მოუყარა თავი, მაგრამ მოკავშირენი შესაფერს წინააღმდეგობას უწევენ.

—

სათათბიროს შეერთებულ საბიუჯეტო, სამხედრო და სამეურნეო კომისიათა კრებაზე [illegible] წინადადებით დაავალეს [illegible] წვრილებით გააცნონ კავკასიის დღევანდელი მდგომარეობა, გამართონ სპეციალი კრება კავკასიაში სურსათ-საკვების საკითხის გამოსარკვევად, მოიწვიონ სათანადო პირნი, რომელთაც კი შეეხებათ ეს საკითხი და დაუყოვნებლივ უზრუნველყონ კავკასია საკვებ მასალით. ჰაჰაჯანოვის გარდა სპეციალ კრებაზე ამ საკითხის აღსრულებას მოითხოვდნენ შინგარიოვი და ჩხეიძე.

—

პარიზიდან იტყობინებიან: საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აუწყა პრესის წარმომადგენლებს რომ, მოკავშირე სახელმწიფოებიდან მივიღეთ ზავის წინადადების შესახებ პასუხი და ყველანი ერთხმად ზავზე უარს აცხადებენო. გერმანეთის წინადადება, საზოგადოდ, უშინაარსოდ იქმნა აღიარებული, რადგან ზავის გარკვევითი პირობები არ არის აღნიშნულიო.

—

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან: გერმანეთის მთავრობა ზავის შესახებ სხვა და სხვა ცნობას იძლევა, რათა ამით მოკავშირეთა შორის ერთმანეთის უნდობლობა გამოიწვიოს. გერმანეთს ნეიტრალ სახელმწიფოებში თავის ელჩებისთვის შემდეგი ზავის პირობები გაუგზავნია: დაპყრობილ ბელგეთს და საფრანგეთს განთავისუფლებს, ხოლო გერმანეთს აფრიკაში თავისი კოლონიები დაუბრუნდეს. ხოლო სხვა მოთხოვნილებაა რუსეთისადმი: მან უნდა ჩამოართვას ლიტვა, კურლიანდია, მდ. ვისლას მხარის გუბერნიები და დაარსოს პოლონეთის სამეფო, რომელიც სამხედროს მხრით დამოკიდებული იქნება გერმანეთზე. ამ რიგად, გერმანეთის ზავის პროექტი მხოლოდ რუსეთის დაქუცმაცებას ცდილობს.

—

ნიუ იორკიდან იტყობინებიან: ნიუპორტში გერმანეთის „ბრემენის“ მაგვარი გემი მოვიდაო. მას ნავთ-სადგურზე გერმანეთის ელჩი დახვედრია. გადაუცია საჭირო ქაღალდები და გემი ვაშინგტონში წასულა პრეზიდენტის სანახავად. ამბობენ, გემს თან მოუტანია ვილჰელმის წერილი, სადაც აღნიშნულია დაწვრილებითი პირობები ზავისაო.

## საზიზღარი მკვლელობა

(პეტ. დეპ. სააგ.)

**კავკასი.** 12 ქრისტეშობისთვე. დღეს დილით ქალაქ გარედ იპოვნეს ორ ნაბადში გახვეული მოკლულ მდიდარ ზამკოვოის გვამი. ნაცნობებს ზამკოვოი 11 ქრისტეშობისთვეს საღამოთი უნახავთ. იგი ღამე სახლში არ დაბრუნებულა.

**კავკასი.** 13 ქრისტეშობისთვე. ზამკოვოი კვირა საღამოს მისულა თ-დ მაყაშვილთან კავკავის რკინის გზის აქციების შესაძენად 145 ათას მანათად. ეს აქციები ვითომ თ-დ მაყაშვილს ბანკის მახლობლად მატარებელთა დაჯახების დროს ჩაჰვარდნია ხელში 150 ათასი მანეთისა. მაყაშვილის ბინაზე ზამკოვოი მოუკლავთ და ორ ნაბადში გაუხვევიათ. მაყაშვილს წინდაწინვე სხირტლაძისაგან ავტომობილი უთხოვნია უშოფეროდ. ღამე სტრაჟნიკ ტომოვის დახმარებით მოკლულის გვამი ავტომობილში ჩაუდვია მაყაშვილის მოურავს მესხიშვილს და სამხედრო გზისაკენ წასულა. რედანეტის მახლობლად ავტომობილი პარაპეტს დასჯახებია და გაჩერებულა. მაყაშვილს მესხიშვილი მახლობელ კაზაკთა სადარაჯოზე გაუგზავნია საშველად. თვითონ კი მოკლულის გვამი იქვე გზის მახლობლად გადაუგდია. ავტომობილი მეურმეების დახმარებით მაყაშვილის ბინაზე მოუტანიათ. მაყაშვილი ორშაბათს არხეინად დასეირნობდა თურმე თავისი მეუღლით, ალექსანდრეს პროსპექტზე. იმ ღამეს გაუჩხრეკიათ მაყაშვილის ბინა და აღმოუჩენიათ ფული და სისხლის კვალი. დამნაშავენი შეუპყრიათ.

## ახალი ამბავი

ქართული დაწესებულებანი.

✦ ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოების წევრთა საერთო კრების გაგრძელება დანიშნულია დღეს, 17 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, თბილისის გუბერნიის სადგილ-მამულო ბანკის დარბაზში (ფრეილინის ქუჩა). განსახილველი საგნები: წესდების პროექტის განხილვა და ახალ წევრთა მიღება.

✦ ქართულ კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათა კავშირს დღეს, 17 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 7 საათზე, სადგილ-მამულო ბანკის

დარბაზში თათბირი ექნება იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობა მიიღონ ქართულმა დაწესებულებებმა ჰენრიკ სენკევიჩის სახელის პატივსაცემ სალიტერატურო დილაზე, რომელსაც 22 ამა თვეს საარტისტო საზოგადოების თეატრში მართავს თბილისის პოლონელთა კულტურული კომიტეტი და რომელზედაც, სხვათა შორის, მიწვეულნი არიან ქართული დაწესებულებანიც.

◆ **კრებების გადადება.** 15 ამა თვეს დანიშნული იყო ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი და ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობის კრებები, მაგრამ, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, არც ერთი კრება არ მოხდა.

◆ **ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის** სასარგებლოდ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში შემოსულა დღემდის 3,194 მან. 65 კაპ. ამ ჯამში შედის ბ-ნ ტრ. თაბუკაშვილის მიერ შეკრებილი 40 მანეთი ერევანში და კავკავში ბ-ნ რაჟ. დუმბაძის მიერ შეკრებილი 1 თუმანი.

◆ **წერა-კითხვის** საზოგადოების სკოლებისა და სამკითხველოების მეთვალყურე ბ-ნი გრ. ბურჭულაძე, საზოგადოების გამგეობის დავალებით, ბათომს გაემგზავრა ომისაგან დაზარალებულთა შვილებისათვის თავშესაფარის მოსაწყობად, ბათომის ქართულ სკოლასთან.

### ქალაქის დაწესებულებანი.

◆ **წესდება სასანიტარო მზრუნველთათვის.** 14 ამა თვეს ქალაქის სასანიტარო ექიმებს და უბნების სასანიტარო მზრუნველებს საერთო კრება ჰქონდათ, რომელზედაც საბოლოოდ შეიმუშავეს პროექტი წესდებისა უბნების სასანიტარო მზრუნველთათვის. ეს პროექტი განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება ჯერ ქალაქის გამგეობას და შემდეგ ქალაქის საბჭოს.

◆ **ქალაქის გამგეობა** ამ დღეებში მოხსენებას წარუდგენს ქალაქის საბჭოს, რომ ქალაქმა სუბსიდია დაუნიშნოს ბ-ნ არჯევანიძის სატყეო სკოლას წაღვერში.

### სხვა და სხვა ამბები.

◆ **თბილისის სასტუმროების, მორთულ ოთახების,** რესტორანების და სხვათა პატრონების ურთიერთ-დამხმარე საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრებს ჰქონდათ სხდომა და თავის შორის გაინაწილეს თანამდებობანი. თავმჯდომარედ ერთხმათ არჩეულ იქმნა ი. ხ. ქორჩილავა, ხოლო მის ამხანაგათ ს. ს. მომცელიძე. დანარჩენ სარევიზიო კომისიის წევრებს პ. დ. გოგელიას და მ. ე. ლალიძეს დაევალათ მიიღონ ყოველივე ღონისძიება, რათა მომეტებული წევრები შეუძინონ. სარევიზიო კომისიის წევრებს ეტყობათ, რომ ფრიად დახელოვნებულნი არიან საქმეში და დიდის ენერგიის პატრონნიც. საზოგადოება დიდს იმედს ამყარებს მათზე.

◆ **მერძეობის კურსები.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ გადასწყვიტა ქრისტეშობისთვის 26 მერძეობის კურსები გახსნას დასახიჩრებულ მეომართათვის. კურსებზე მერძეობის თეორიას ასწავლიან, პრაქტიკლი მეცადინეობა მოწყობილი იქმნება კ. თულაშვილის ფერმაზე ორთაჭალაში. კურსების მოსაწყობათ საზოგადოება მიწადმოქმედების დეპარტამენტს 1,110 მანეთსა სთხოვს.

◆ **გორი.** 15 ამა თვეს, გორში მოხდა ქართლის წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა და შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობათა საერთო კრება, რომელზედაც გადაწყდა დაარსდეს ამ დაწესებულებათა კავშირი. ზოგიერთ დამსწრეთა წინადადება, რომ საგუბერნიო კავშირი დაარსებულიყო, კრებამ არ შეიწყნარა. დაწვრილებითი ცნობები დაიბეჭდება.

◆ **ბუნებრივი სიმდიდრენი კავკასიისა.** საზოგადო კლუბში (ერევნის მოედანი, სემინარიის შენობა) დღეს ინჟინერი კ. საპიცკი წაიკითხავს რეფერატს: „კავკასიის მთა-მადნეული სიმდიდრე“.

◆ **ოქმები.** ქალაქის აგენტებმა ოქმი შეუდგინეს: ა. მიქელაძეს და ტ. მჭედლოვს ძროხის ხორცის გაყიდვისათვის დაწესებულ ნიხრზე ძვირად; 2) პ. მეგალიშვილს კამეჩის ხორცის გაყიდვისათვის ძროხის ხორცის ფასის კვალობაზე; 3) ქ. ვართანოვს და ა. ფარსეღოვს ყველის დამალვისათვის; 4) ვ. გოგინავას ღორის ქონის დამალვისათვის; 5) ი. არჩვაძეს აუწონლად პურის გაყიდვისათვის.

◆ **რედაქციამ მიიღო** საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ № 10. ჟურნალი ჩვეულებრივ საინტერესოდ არის შედგენილი.

◆ შაბათს, 17 დეკემბერს, ხარფუხის საზოგადო კლუბში, რუსულ დასის მსახიობთა მიერ გაიმართება ოპერეტა და დივერტისმენტი. შესვლა ოპერეტაზედ და დივერტისმენტზედ უფასოა.

◆ **ტრამვაის მოსამსახურეები** ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობენ, რომ ეხლანდელზე მეტი პური დაუთმოს მათ მათის სასურსათო დუქნისათვის.

◆ **შემოიტანეს** თბილისში 15 ამა თვეს: ფქვილი 6 ვაგ., კარტოფილი 8 ვაგ., ფხვნილი შაქარი 1 ვაგ., ხილი 1 ვაგ., ნავთი 5 ვაგ., გაუწმენდავი ნავთი 5 ვაგ.

◆ **გადამდებ სნეულებათა** შორის მომეტებულად ფეხს იკიდებს შავი სახადი („სიპნოი ტიფი“). ამ სენით ავადმყოფნი 230 კაცია ამ ჟამად მოთავსებული ქალაქის საავადმყოფოში. აგრეთვე ძლიერ გახშირებულია სამფლით შებრუნება („ვოზვრატნი ტიფი“) ქალაქის საავადმყოფოში ამ ჟამად 456 კაცია ამ ავადმყოფობით, მომეტებულ ნაწილად ჯარისკაცნი.

### გორი.

გორის სამეურნეო საზოგადოების განკარგულებაში გუბერნატორმა გადასცა ერთი ვაგონი შაქრის ფხვნილი, რომელიც სხვა კოოპერატივების წარმომადგენლებთან ერთად განაწილებულ იქმნა შემდეგნაირათ: 80 ტომარა ფხვნილი დაეთმო მაზრაში, გორის გარეშე, კოოპერატივებსა, 60 ტომარა ქალაქ გორსა, რომელიც უნდა დაუნაწილოს გორის კოოპერატივმა, შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობამ და გორისავე სამეურნეო საზოგადოებამ თავიანთ წევრებს და არა წევრებსაც. პროვინციაში არსებულმა კოოპერატივებმა თუ საკრედიტო ამხანაგობებმა შაქარი 18 ქრისტეშობისთვემდე უნდა წაიღონ. თითო კოოპერატივზედ გადადებულია 2 ტომარა შაქრის ფხვნილი 18 ქრისტეშობისთვემდე; თუ შემდეგ შაქარი გადარჩა, მსურველთ შეუძლიათ წაიღონ მეტიც.

### შეცდომათა გასწორება

გუშინდელ „წერილში პეტროგრადიდან“ **დაბეჭდილია:** იმ წლის არჩევნებზე გააშავეს ბ-ნი **პავლე მილიუკოვი,** რომელიც და სხვა..

**უნდა იყოს:** იმ წლის არჩევნებმა გააშავეს ბ-ნი **პავლე გუჩკოვი.**

**დაბეჭდილია:** თვის სიტყვაში ამ უკანასკნელმა გააცნო რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელთ კავკასიის **ძალმომრეობა.**

**უნდა იყოს...** კავკასიის **მდგომარეობა.**

## პასუხად ბ-ნ ჭირისუფალს.

პატივცემულო ბ. რედაქტორო!

„საქართველო“-ს მე-280 ნომერში ვინმე ჭირისუფალი მთხოვს მე, როგორც ყოფილ ინსპექტორს საეპარქიო საქალებო სასწავლებლისას, ვაცნობო, „თუ რა მდგომარეობაშია ქართული ენა უფლებრივის მხრით“ აღნიშნულ სასწავლებელში.

1906 წლის ენკენისთვეში, თანახმად ჩემის მოხსენებისა, სასწავლებლის საბჭომ ითხოვა ქართველ შეგირდთათვის სლავიანურის გაუქმება და სამაგიეროდ დედა-ენის გაძლიერება. მაშინდელმა ექსარხოსმა ნიკონმა ეს თხოვნა გაგზავნა უწმინდეს სინოდში, სადაც ის შეწყნარებულ ექნა: ქართულ ენას, რომელსაც წინად კვირაში მხოლოდ ორი გაკვეთილი ჰქონდა დათმობილი, ორი გაკვეთილი კიდევ მიემატა და ამის შესაბამად პროგრამაც გაუფართოვდა. ექსარხოსს, რომელსაც საქმის ამნაირად დაბოლოვება ალბად არ მიეწონა, სასწავლებლის დაუკითხავად, სრულიად უმიზეზოდ და უსაბუთოდ სინოდისათვის შემდეგი შეკითხვა გაუგზავნია: როგორ მოვიქცე იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ქართველმა შეგირდმა ქართული ენის შესწავლისაგან განთავისუფლება ითხოვაო? სინოდსაც უპასუხნია: „სასწავლებლის საბჭოს ნება ეძლევა, თუ ქართველმა შეგირდმა შუამდგომლობა აღძრა, გაანთავისუფლოს ის ქართული ენის შესწავლისაგან, მხოლოდ იმ პირობით, რომ ნაცვლად ქართულისა, მან ისწავლოს რუსული და სლავიანური ენებიო“ (სინოდის „უქაზი“ № 12863, 27 ოქტომბ. 1907 წ.). ამ „უქაზით“ ჯერ სასწავლებელში არავის უსარგებლნია, მაგრამ, თუ ვინმემ მოისურვა, უეჭველია, გამოიყენებს.

**დეკ. კ. კეკელიძე.**

1916 წ. 16 ქრისტ.

## წ.-კ. გამ. საზ. დღევანდელ კრების გამო

დღეს, საღამოს, წ. კ. საზოგადოების კრებამ უნდა განიხილოს გამგეობის მიერ შემუშავებული ახალი პროექტი საზოგადოების წესდებისა: პროექტი თუ მოწონებულ იქმნა, იმას ბევრი ცვლილებანი შეაქვს საზოგადოების ორგანიზაციაში. აი ეს ცვლილებებიც:

§ 1. საზოგადოებას დასახული აქვს მიზნად ხელი შეუწყოს წერა-კითხვისა და ხალხისათვის სასარგებლო თეორეტიულ და პრაქტიკულ ცოდნათა გავრცელებას..

§ 4. საზოგადოება აწარმოებს სწავლას თავის სკოლებში სამშობლო ენაზე, ხოლო რუსული ენის სწავლების საქმეს კი კერძო სკოლათა დებულების მიხედვით.

§ 6. საზოგადოებას უფლება აქვს შეიძინოს საკუთრებად უძრავი ქონება, დააგიროს და გაჰყიდოს იგი.

§ 11. ნამდვილ წევრებად ითვლებიან, თანახმად ორის წევრის წინადადებისა, საზოგადო კრების მიერ არჩეულნი პირნი, რომელნიც შემოიტანენ საზოგადოების სასარგებლოდ ერთდროულად არა ნაკლებ 20 მანეთისა, ხოლო ყოველ წლიურად არა ნაკლებ 1 მანეთისა.

§ 13. საზოგადოების მმართველობა ეკუთვნის: რწმუნებულთა საერთო კრებას და საზოგადოების მთავარ გამგეობას, როგორც საზოგადო კრების აღმასრულებელ ორგანოს.

§ 14. რწმუნებულთა საერთო კრება არის ჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივი, ე. ი. საგანგებო: ჩვეულებრივ კრებას იწვევს მთავარი გამგეობა წელიწადში ერთხელ, არაჩვეულებრივ კრებას-კი საზოგადოების მთავარი გამგეობის თავმჯდომარე ყოველდროს განსახილველად განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საქმეთა, თანახმად გამგეობის დადგენილებისა და არა ნაკლებ საზოგადოების 15 რწმუნებულისა.

§ 15. საერთო კრებას შეადგენს 150 რწმუნებული, არჩეულნი საზოგადოების განყოფილებათა მიერ სამის წლის ვადით, მთავარ გამგეობის მიერ შემუშავებულის და გამოცხადებულის წესით. არჩევნები ხდება პროპორციონალურად განყოფილებების წევრთა რაოდენობის მიხედვით, მაგრამ არც ერთი განყოფილება არ უნდა დარჩეს უწარმომადგენლოდ.

§ 16. რწმუნებულთა საზოგადო კრებას ხსნის მთავარი გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც წინადადებას აძლევს კრებას აირჩიოს კრების მიმდინარე სესიის თავმჯდომარე.

§ 17. სესიის გათავების შემდეგ საზოგადო კრების მიერ გამოტანილ რეზოლიუციებს და ოქმებს ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და გადასცემს სისრულეში მოსაყვანად საზოგადოების მთავარ გამგეობას.

§ 20. საერთო კრება ითვლება შედგენილად, რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს.

§ 21. საზოგადოების საქმეთა მართვისა და მოქმედებისათვის საზოგადო კრება აირჩევს გამგეობის 6 წევრს და 3 კანდიდატს.

**შენიშვნა.** საზოგადოების ცალკე საქმეთა გამგებლობისათვის მთავარ გამგეობასთან შეიძლება დაარსებულ იქმნან სექციები, რომლებიც იმოქმედებენ რწმუნებულთა საზოგადო კრების მიერ დამტკიცებულ განსაკუთრებულის ინსტრუქციების მიხედვით.

§ 23. გამგეობა ირჩევს თავის წრიდან თავმჯდომარეს და თავმჯდომარის ამხანაგს.

§ 28. საზოგადოებას უფლება აქვს გახსნას ადგილობრივი განყოფილებანი, სადაც საჭიროდ დაინახავს, ხოლო ყოველ განყოფილების გახსნის შესახებ უნდა შეატყობინოს თბილისის გუბერნატორს.

§ 29. განყოფილებანი მოქმედებენ განსაზღრულ რაიონების ფარგლებში და ემსახურებიან საზოგადოების მიერ დასახულ მიზნებს, წესდების გარდა ხელმძღვანელობენ მთავარ გამგეობის განსაკუთრებული ინსტრუქციებით, რომელთაც ამტკიცებს რწმუნებულთა საერთო კრება.

**შენიშვნა.** განყოფილება შეიძლება დაიხუროს რწმუნებულთა საერთო კრების დადგენილების თანახმად.

§ 30. საზოგადოების ქონების, კასის ანგარიშის, საკუთრების, შემოსავალ-გასავლის, ინვენტარის, სავაჭრო ხარჯთ-აღრიცხვის და ყოველგვარ ქონების შესამოწმებლად და განსახილველად კრება ირჩევს სარევიზიო კომისიას, სამიდან ხუთ კაცამდე შემდგარს, და სამ კანდიდატს, რომელთაც არ უკავიათ არც საზოგადოებაში და არც მის [illegible]ბაში სხვა რაიმე თანამდებობა.

**შენიშვნა.** ეს დებულება თანაბრად სავალდებულოა საზოგადოების განყოფილებათა სარევიზიო კომისიებისათვისაც.

## ნიკ. ბარათაშვილის დილა თბ. სათ. საქალებო გიმნაზიაში

კვირას, 11 ქრისტეშობისთვეს, თბ. სათ. საქალებო გიმნაზიაში გაიმართა ნიკ. ბარათაშვილის დილა. დილას დაესწრნენ როგორც გიმნაზიის მოსწავლე ქალები მასწავლებლებითურთ, ისე სავაჟო გიმნაზიის დაბალი კლასის მოწაფენი და მშობლები. დილა ფრიად შინაარსიანი იყო. საგულისხმიეროა, რომ ყოველთვის ამ გიმნაზიის მოწაფენი ასეთის დილის გამართვაში თავისებურობას იჩენენ და ინიციატივაც მეტ წილად თვითვე მათ ეკუთვნისთ ხოლმე. ამ დღესაც დილის გამმართველნი თვითონ ბავშვები იყვნენ. უფროს კლასის სამმა მოწაფემ (მე-VI და მე-V კლასისა) წაიკითხეს რეფერატები. პირველი რეფერენტი, მეხუთე კლასის მოწაფე, შეეხო ბარათაშვილის ბიოგრაფიას. სხარტული, მკაფიო და შინაარსიანი მოხსენება ნათლად უდგენდა საზოგადოებას ბარათაშვილის სურათს.

მეორე რეფერენტი (მეექვსე კლასის მოწაფე) შეეხო ბარათაშვილის პოეზიას. რეფერენტის მოხსენებამ ნახევარ საათზე მეტ ხანს გასტანა. თამამი პარადოქსები ბარათაშვილის სევდის ძაფთა ამოსახსნელად, მგოსნის ხანის დახასიათება, საქართველოს ორ ნაწილად გაყოფვა, როგორც საქართველო ქალაქისა, სადაც ქართველობა დაფისა და ნაღარის ცემით ჰკლავდა თავის დღეს და საქართველო პროვინცია, სადაც ქალაქელ მოძმეთ კვნესით აძლევდნენ ბანს, მომხსენებელმა ისეთი მარტივი და ცოცხალი ფერადებით მოჰხაზა, რომ დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

მესამე მომხსენებელმა გაარჩია „ბედი ქართლისა“. მოხსენება შინაარსიანი იყო, ოღონდ მომხსენებელი შეკრთა, ადგილ-ადგილ ჩერდებოდა და იმიტომაც დაიჩრდილა თვით მოხსენების შინაარსი.

საზოგადოდ, დილა ფრიად შინაარსიანი იყო. ორ ნაწილად გაეყოთ ეს დილა, მგოსნის ლექსებით შეეფერადებინათ. თითქმის ყველა თვალსაჩინო ლექსი იქმნა წაკითხული: „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ჩონგურს“, „სულო ბოროტო“, „ჩემი ლოცვა“, „მერანი“, „ჩინარი“ და სხვა. უნდა ითქვას, რომ „ჩინარისა“ და „მერანის“ დეკლამაცია უკეთეს მსახიობთაგანაც არ მოგვისმენია.

**დამსწრე.**

# ბრუდე სარკე

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!“
*ილია ჭავჭავაძე.*

თუმცა დღევ ნდელი ცხოვრება სისხლისა და ცრემლის ტბას წარმოადგენს და ყველგან გლოვა-მწუხარებაა გამეფებული, მაგრამ დროდადრო საჭიროა გულის ჟანგის გადაწმენდა და სალი სიცილით გადახალისება. ამისათვის განვიზრახეთ ხანდისხან გამოვესაუბროთ მკითხველს ჩვენს დღევანდელ ჭირ-ვარამზე და, თუ სალი სიცილი ვერ გამოვიწვიეთ, მწარე ღიმილი მაინც დავიმსახუროთ.

საერთოთ, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება სასურველად ვერ მიიმართება. ამისი მიზეზი, რათქმა უნდა, საქმის სათავეში მდგომნი არ არიან. ჩვენა გვრწამს მათი გულწრფელობა, მამულიშვილური გულისთქმა, ლამაზლამაზ სიტყვებით სამშობლოს გამოსარჩლება, მათი კაცურ-კაცობა... ასე რომ არ იყოს, მაშინ დედა-მიწა გასკდეს და თან ჩაიტანოს იმათთან ერთად, ოღონდ ყველამ მიაგნოს თავისს საკადრის ბუდეს და ჭრელი ნიღაბი ჩამოიხსნას თავისი თავისა და ხალხის წინაშე. ამას მდაბიურად სინიდისის მხილება ჰქვიან. მაგრამ უბედურებაც ის გახლავთ, რომ მამხილებელი სარკე, თუნდაც ბრუდე სარკე, არ მოიპოვება მათთვის.

* *
*

რა გნებავთ, რომ არა გქონდეს, რიგიანი კი არაფერი გაგვაჩნია, ვინ გნებავთ, არა გვყავდეს, რიგიანი კი არავინ მოგვეპოვება. ნამდვილად რომ ვთქვათ მომზადებული ხალხი ბევრი გვყავს, მაგრამ ნათქვამია: „თუნდ მკვდარი, თუნდ შინ მისულელიო“. ჯერ მარტო ქართველის ნაწვავ-ნადაგ გროშებით გამოზრდილი **სტიპენდიის ხალხი** სრულ კორპუსს თუ არა, ჰინდენბურგის შემცირებულ დივიზიას მაინც შეადგენს. ვაგლახი ის გახლავთ, რომ ამ დალოცვილებს დაბუმბულებისათანავე ძალიან შორს უყვართ ფრენა (ზოგი არც ახლო მახლო უკადრისობს თავისთვის ფრენას) და საზოგადოების სამსახურს კი არა, ვალის განაღდებასაც ისე გაურბიან, როგორც დარდიმანდი სტუდენტი ლექციას, თედო კიკვაძე წიგნების გამოცემას, ირაკლი რამიშვილი ილიასეულ მამულის შეკეთებას, კულტურულ საზოგადოებათა კავშირი თვალის მოფშვნეტას, „კაზმული“ დრამატიული... ეჰ, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

* *
*

ამ გაქსუებულ ხალხს თქვენი ჭირიმე წაუღია, ნათქვამია — „ჩემი ურგები ქოთანი ქვასა, მაწონი ძაღლსა“-ო, მაგრამ ჩვენს კერაზე მობრუნებული და საქმის სათავეში მოქცეული მოღვაწენიც რომ უკადრავად გახლავან!..

ან კი სხვაფრივ როგორ შეიძლებოდა: ჩვენში ხომ ექიმი ვექილობს, პოეტი სოვდაგრობს, სოვდაგარი მწიგნობრობს, კრიტიკოსი ჩარჩობს, ჩარჩი კრიტიკოსობს, სტატისტი მსახიობობს, ფეხთსაცმელის მწმენდავი მხატვრობს, კლუბელი მეცენატობს, მეცენატი თვის დანიშნულებას ივიწყებს, ფილოსოფოსი მოლექსეობს, მოლექსე ფილოსოფოსობს... მაგრამ ისეთი ფართე ბუნებისა და მომზადების მოღვაწენიც ბლომად მოგვეპოვება, რომელნიც ყველა დარგის სპეციალისტები არიან. მოკლედ რომ ვსთქვათ, ჩვენს ტვინიან ხალხში ერთგვარი პოეტიური დომხალია.

და განა არ გვმართებს ვთქვათ:
„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!“

* *
*

თუ აბეზრობაში არ ჩამომართმევთ, მინდა ზოგიერთებს ნიღაბი ავხადო და თუნდაც ბრუდე სარკეში მაინც ჩავახედო. ბრუდე სარკეს იმისთვის მოგახსენებთ, რომ კარგ სარკეში ჩახედება ერთბაშად ძალიან სახიფათოა. შეიძლება ადამიანმა ისეთი მშვენიერი სახე დაინახოს, რომ სიხარულისაგან ზემი სარტყელშიაც ავიდეს.

* *
*

ყველას მოგეხსენებათ ცნობილი პიესა „კინი“. თუ უცხო არავინ გინახავთ კინი, რომელში, ლადო მესხიშვილი მაინც გენახვებათ. და თუ ერთხელ მაინც გინახავთ, გეხსომებათ კიდეც, რომ დიდებული კინი ლორდმერს მეტად უხერხულ გარემოებაში მოაწრებს და ნიღაბს ჩამოჰგლეჯს.

„ახალ კლუბში წარსულ კვირას დადგმულმა „კინმა“ კი ნიღაბი ჩამოჰგლიჯა ინგლისის ლორდმერს კი არა ჩვენს უბედურს დასს, მთელის თავისის შემადგენლობით და მესვეურებით.

სიამაყე კარგი საქმნელია, სანამ კადნიერების საზღვრამდე მივიდოდეს. ჩვენი მსახიობის სკიული კი იმ სტუმარს მოგაგონებს, მაგიდაზე რომ ფეხებს აწყობდა, ვითომ და შემომხედეთ, რა თამამი ვარო!

ბავშვი ცეცხლს უნდა ერიდოს!

* *
*

მაგრამ მსახიობებს რა ეძრახვის, როდესაც მათი მესვეურები ერთი ალთას გარბის, მეორე ბალთას. განა ეს განზრახ, საქმის ღალატით მოსდით? რა შრძანებაა! ყველას თავისი კერძო საქმეები დაარბენინებს და ხშირად ისე შორსაც, რომ უდიდესი ტელესკოპითაც ვეღარ დაინახავენ თავის ამაგდარ თეატრს!

„ჩიკორა ცემით მოჰკლეს, რატომ ძმა არა გყავსო“. საწყალ ჩიკორას განა თითონ კი აწყენდა ძის ყოლა, მაგრამ თუ კი ღმერთმა არ მისცა!

ჩვენც სამართლიანობა უნდა გამოვიჩინოთ და ისეთი რამ არ უნდა დავაკისროთ ადამიანს, თუნდაც დიდათ პატივცემულსა და პატივსაცემს, რომ მერე ჩიკორას ბედი ეწიოს.

ქუდი დავდოთ და სამართალი ვქნათ: ვინ არის დღეს ჩვენი თეატრის მზრუნველი, სულის ჩამდგმელი, მიმართულების მიმცემი? უეჭველია, მიპასუხებთ: დრამატიული საზოგადოება და მისი თავმჯდომარე თ-დი ნიკო ერისთავიო.

ეჰ, რის თავი! განა ერისთავს და მის თანამოღვაწეთ (გამონაკლისი, როგორც ყოველგან, აქაც არის), საქმის თავი და მგრძნობიარე გული რომ ჰქონდეთ, ასე აწამებდნენ საცოდავ „კინს“ და მის თანამოღვაწეთ?!

მეტყვიან, „კინი“ მსახიობთა ამხანაგობამ დასდგაო. ამ ამხანაგობ საც ხომ თავი აბია, და, ფეხებიდან რომ დავიწყოთ, ისევ იმ თავთან არ მივალთ? განა გამგეობამ არ შეადგინა, განა იგივე გამგეობა არ ინახავს ამ დასს? შედგენით შეადგინა, ინახავს კიდეც, მაგრამ, ეტყობა, ძალიან იშვიათად ნახულობს.

მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო,—ნათქვამია თქვენს უმორჩილეს მონას კი, ამ ცეცხლის კიდებაში, უკუდო სახედარიც არ გააჩნია. რაც იქნება, იქნება: მათი ხმალი—ჩემი კისერი! ხმალში გაწვევა სცენიდან გამოგზავნილ მოციქულების პირით ახალი ამბავი ხომ არ არის გაზეთში მჯღაბნელებისათვის?!

* *
*

ვინ იქნება ისეთი გულღრძო, რომ პატივს არ სცემდეს ჩვენს ტკბილ-მოღიმარე, ენაწყლიანსა და გულკეთილ **ექიმს ბ-ნ შალვა მიქელაძეს?** მე მგონია, არც ერთი, თვინიერ ბ-ნ მიქელაძისა. ბატონებო, „ქათამი წყალს დაჰლევს, ღმერთს შეჰხედავს“-ო. ბ-ნ შ. მიქელაძეს იმდენ საზოგადოებაში აქვს სამსახური, ბინაზე და სახლებში დასახედ ავადმყოფთა გარდა, რომ დღისით კი არა, ღამ-ღამობითაც ვერ მოჰპარავს სამსახურის საქმეს რამდენსამე წუთს. რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ არსებულ დროის საზომით დღე-ღამეში ჯერ-ჯერობით მხოლოდ 24 საათია, ისიც უნდა გვესმოდეს, რომ 24 საათში 48 საათის საქმეს ვერ გასწვდება ადამიანი.

განა თვითონ პატივცემულ შალვა მიქელაძეს ეს ჩვენზე უკეთ არ მოეხსენება?!

* *
*

ასეთსავე დღეში იმყოფებიან **ბ-ნნი იოსებ ბარათაშვილი და შალვა მესხიშვილი**: ნიჭიც შესწევთ, მომზადებაც, გავლენაც, მოწადინებაც, ხალისიც, ერთის სიტყვით, ორივე ჩინებული ფონია საქმისთვის, მაგრამ ერთ ადგილას ახრჩობს,—ესენიც მოუცლელნი არიან და დროს ვერ შოულობენ, რომ თავისი ჯეროვანი წვლილი შეიტანონ დრამატიულ საზოგადოების საქმიანობაში.

* *
*

ავიღოთ **ნიკო ერისთავი,** თუმცა მისი აღება არც ისე ადვილია: ის მეტის-მეტად მჭიდროდ არის ჩასმული და ფესვებიც მაგრად აქვს გადგმული ბანკსა და ოქროკარიანში, სადაც საუცხოვო მამაპაპეული მამულები აქვს. მამულები ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, ეს ბანკიც მისთვის დაგვილოცნია, მაგრამ შეიბრალოს საწყალი, დამწვარი ქართული თეატრი, დამწვარი დასი, დამწვარი და გაციმბირებული რეჟისორები, დამწვარი რეპერტუარი, დამწვარი საზოგადოება.. ან ოქროკარიანსა და ბანკს შეალიოს მთელი ძალღონე, ან ქართულ სცენას, თორემ ისევ ჩიკორას იგავი გვაგონდება...

გამგეობის დანარჩენ წევრებს აღარ შევეხებით. ჩემის ღრმა რწმენით, დღევანდელს გამგეობაში ერთად-ერთი ადამიანია, რომელსაც ცოდნაც შესწევს, საქმის სიყვარულიც, ხალისიც, ენერგიაც და—რაც უმთავრესია—მოცალეობაც, რომ პირნათლად ემსახუროს ჩვენის თეატრის საქმეს. ეს გახლავთ ბ-ნი იოსებ გედევანიშვილი.

მაგრამ ნათქვამია, „მარტოხელა კაცი ჭამაშიაც ბრალიაო“.

რომელ ერთს გასწვდება ერთი ადამიანი. საჭიროა მას მხარში ედგეს ნამდვილი მოსაქმე ადამიანები, რომ ტალახში ჩაფლული ურემი მშრალზე გაიტანონ და საზოგადოება მშრალზე არ დასვან.

მაგრამ გული მეთქვამს, რომ ხვალინდელი კრებაც ისევ მოუცლელ მესვეურებს აირჩევს. არჩევნებზე მაგარ-მაგარ სიტყვებსაც „ვთქვამთ“, შეიძლება ვინმე რიხიანი ხმის პატრონმა განდიდებულ ალღოთი „ფულის სუნის“ მაძიებელნიც აღმოაჩინოს, მოსალოდნელია ხელების სავსავით უარიც განვაცხადოთ საარჩევნო ყუთის დადგმაზე, მაგრამ საკმარისია ერთი ტკბილი სიტყვა, რომ სამშობლოს მსხვერპლად შევეწიროთ და გამგეობის წევრობა ისევ ვიკისროთ.

ამას გამოცდილებით მოგახსენებთ: ვისაც ჩვენში არჩევა ენატრება, ჯერ უარი უნდა სთქვას.

— როგორ? უარს ამბობ? უსათუოდ უნდა ავირჩიოთ! ვის შეუძლიან საზოგადო საქმის სამსახურზე უარის თქმა?! ეს ხომ საქმის ღალატია!—დაიძახებს ხალხი და საქმე გადაწყვეტილია. მოღალატეობას ისევ ჩანჩალით მოღვაწეობა სჯობია!

ჩემთავად გირჩევთ, მხარი დაუჭიროთ მხოლოდ და მხოლოდ ფედერალისტებს და არამც და არამც არ დაასახელოთ არც დასელი, არც უპარტიო, არც საქართველოელი, თუნდაც შესაფერი და გამოსადეგნი იყვნენ ეს უკანასკნელნი, ჯერ ვრთი, სულ ერთია, ფედერალისტები დარაზმული „ზვირთელებით“ მოვლენ და ძველ გამგეობასაც ხელზე დასმულს თან მოიყვანენ. მეორეც, შესაფერი ხალხი რომ აირჩიოთ, საოხუნჯო მასალას ვილა მოგვცემს.

**შოლტი.**

# სოფლად

II

**კახეთი.*)**

**2ც ჩვენი სასწავლებლები და ქართული ენის მდგომარეობა.** როგორც ზინა წერილში მოვიხსენიე, მეფე ერეკლეს სასახლეში მოთავსებულია წმ. ნინოს საქალებო შვიდ-კლასიანი სასწავლებელი; 360 მოწაფე სწავლობს, ამათში 60 სომეხია, 20 რუსია, დანარჩენი კი ქართველი.

უმფროსს 5—6—7 კლასებში ქართული ენის მასწავლებელი არა ჰყავთ, არა ჰყავდათ შარშანაც, მხოლოდ 1916 წ. იანვრიდან დაუწყვიათ ქართული ენის სწავლება. უმფროსს კლასებში ისეთი მოწაფეებიცაა, რომ ქართული წიგნის რიგიანათ წაკითხვაც კი არ იციან.

თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის გამგე-კომიტეტის თავმჯდომარე გახლავთ თელავის მაზრის თავად-აზ. წინამძღოლის მაქს ჭავჭავაძის მეუღლე, რომელიც მოვალეა ამ მოვლენას ყურადღება მიაქციოს, მაგრამ მას, როგორც უცხო ტომის ქალს, იმდენად არ აინტერესებს ეს ამბავი. ეს სხვათა შორისა ვსთქვით, მას ბევრ მოვსთხოვთ, რომ შესაფერად მოექცეს ჩვენს ენას, მაგრამ არიან ჩვენი ღვიძლი შვილები, რომლებსაც უკავიათ სათანადო ადგილები და მათ უფრო არ აინტერესებთ ქართული ენის ნორმალურად დაყენება სასწავლებლებში.

აი, ესენი არიან, რომ ხელს უშლიან დედა-ენის განვითარებას სასწავლებლებში, ისინი არიან ღირსნი გაკიცხვისა, ისინი უნდა ჩამოვაშოროთ საქმეს.

თელავის სავაჟო პროგიმნაზიაში 2(8 მოწაფე სწავლობს, აქედან მესამედი სომხობაა, დანარჩენი ქართველები და რუსები იქნებიან. არც აქ არის ქართული ენის სწავლება რიგიანათ დაყენებული. იმ დროს, როდესაც სხვა საგნების მასწავლებლებს 200—150 მ აქვთ ჯამაგირი, ქართული ენის მასწავლებელს კი 40—50 მანეთის მეტი არა აქვს და, აბა სამშობლო ენის რომელი რიგიანი მცოდნე წავა ამ ჯამაგირზედ მასწავლებლად?

მე მინდა აქ წერტილი დავსვა, მაგრამ რადგან ასეთი თავსატეხია ქართული ენის მდგომარეობა სასწავლებლებში, მკითხველის ყურადღება მინდა მივაქციო გორის სასწავლებლებს და დროებით, თუ შეიძლებოდეს, იქითკენ გავემგზავროთ.

—

გორის საქალებო ანასტასის გიმნაზიაში 380 მოწაფე სწავლობს, ამაშია სამი წილი ქართველია და ერთი წილი რუსი და სომეხი. სამი განყოფილება და შვიდი კლასია, 22 მასწავლებელი ჰყავთ, ქართული ენის მასწავლებელი კი არა ჰყავთ და ისიც—უფროსს კლასებში, თუმცა კი ეს სასწავლებელი უფრო ქართველებს ეკუთვნით და ქართული იერი გადაჰკრავს.

და ამ სასწავლებელს მეთვალყურეობას და მზრუნველობას უწევს სამზრუნველო საბჭო, რომელშიაც შედიან: თავმჯდომარე საბჭოსი თ-დი ნ. თუმანიშვილი, საბჭოს წევრნი: გორის ქალაქის თავი გრიგოლაშვილი, გორის სავაჟო გიმნაზიის დირექტორი მ. ზაალიშვილი და სავაჟო გიმნაზიის მასწავლებელნი ცერცვაძე და გვაზაძე და მომრიგებელ შუამავლის თ-დ მ. რ. ერისთავის მეუღლე კნეინა მარიამ ერისთავისა.

სამზრუნველო საბჭო ირჩევს სასწავლებლის უფროსს და კავკასიის ოლქის მზრუნველი ამტკიცებს, მისი გადაყენებაც სამზრუნველო საბჭოს საქმეა, კავკასიის ოლქის მზრუნველი არ ეხება, მზუნველს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გადააყენოს, როდესაც რაიმე ბოროტმოქმედება აღმოჩნდება სასწავლებელში.

სამზრუნველო საბჭოს თავმჯდომარე უნდა იყოს გორის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და რა მიზეზით ბძანდება თავმჯდომარედ თ-დი ნ. თუმანიშვილი?

ეს ადგილი ეკუთვნის თ-დ რ. ი. ერისთავს და რატომ თავის ადგილს არ იჭერს? ნუთუ ეხათრება? აქ დათმობას და ხათრს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, როდესაც ქართულ ენას ჰირისუფალი შესაფერი არა ჰყავს.

საქალებო გორის გიმნაზიაში უფროსის ქ-ბნ ზაალოვას წყალობით ისეთი ატმოსფერაა შექმნილი, რომ არც ერთი ქართული ენის და სხვა საგნების მასწავლებლები ვერ უძლებენ და ძალაუნებურად გაურბიან ამ სასწავლებელს.

დღეს სასწავლებელს ქართული ენის მასწავლებელი არა ს ჰყავს*)

მისი შეუწყნარებლის ქცევით თავი დაანებეს მასწავლებლებმა ქართული ენისა ბერეჟიანმა, ხახუტაშვილმა (ცქვიტი) და სხვებმაც.

საპედაგოგო საბჭოს სხდომის დროს გაძევებულ იქმნა და ნება არ მისცეს ქართული ენის მასწავლებელს ბჭობაში მონაწილეობა მიეღო.

როდესაც მასწავლებლობდა ქ-ნი ხახუტაშვილისა, მან შესაფერისად დააყენა ქართული ენა, ასწავლიდა საქართველო ისტორიას და ლიტერატურას.

ქართულ ენის სწავლებას მეხუთე გაკვეთილი მიუჩინა უფროსმა.

მასწავლებელი ხახუტაშვილისა წინაღუდგა, ქართულ ენას პირველი გაკვეთილი უნდა დაუთმოთო.

ამაზე უფროსმა უპასუხა:—пожалуйста, небудьте квасной патріоткой!

ერთხელ მასწავლებელი ხახუტაშვილი ავად გახდა, მეშვიდე კლასის მოწაფეებს შეუთვალა:—ვეფხვის ტყაოსანი წაიკითხეთო. მოწაფეებიც ქართული ენის გაკვეთილზედ ვეფხვის ტყაოსანს კითხულობდნენ.

უფროსმა კლასის ზედამხედველი შეუგზავნა მოწაფეებს: რადგანაც დღეს თქვენი მასწავლებელი არ მოვიდა, ჩემი გაკვეთილი პსიხოლოგია ისწავლეთო.

მოწაფეებმა შეუთვალეს:—დღეს ეს ჩვენი გაკვეთილია და ვეფხვის ტყაოსანს ვკითხულობთო.

ამ პასუხის შემდეგ უფროსი გაავფთრებული შეუვარდა მოწაფეებს და ფეხების ბრაგუნით შეუყვირა:—какъ вы смѣйте ослушать моему приказанію! და უბრძანა ეხლავე პსიხოლოგია ისწავლეთო.

უფროსი გავა, კარებს გაიხურავს და იქვე დადგება საზვერავად.

მოწაფეები ისევ ვეფხვის ტყაოსნის კითხვას განაგრძობენ.

ხელ-ახლად შემოიჭრა და ერთი ალიაქოთი აუტეხა მოწაფეებს.

მოწაფეებმაც კატეგორიულად მოსთხოვეს:—ეს ჩვენი გაკვეთილია და როგორც გვინდა, ისე მოვიქცევითო.

ამის შემდეგ უფროსი გააფთრებული გავარდება კლასიდან.

ამ ინციდენტის შემდეგ მასწავლებელი ხახუტაშვილი უფრო შეავიწროვა, ამის გამო მოწაფეები შინ დადიოდნენ ხახუტაშვილთან და ქართულ ლიტერატურას ეცნობოდნენ.

უფროსმა გაუგო ეს და მასწავლებელს ეტყვის: თუ რომ თქვენ მაგისთანა ქცევას თავს არ დაანებებთ, ოლქის მზრუნველს ყველაფერს ვაცნობებო.

და ეს მიზეზი იყო, რომ ხახუტაშვილისა მოშორდა ამ სასწავლებელს.

—

სამზრუნველო საბჭოს თავმჯდომარე თ-დი ნ. თუმანიშვილი ქ-ნ ზაალოვასთან შეთანხმებულად მოქმედობს, ყოველ საქმეში ხელს უმართავს. ს მზრუნველო საბჭომ უფროსი „ზაალოვისა“ გაათამამა, გორის საზოგადოებაც ხმას არ იღებს, თ-დ აზნაურთა წარმომადგენელიც გათიშულია და, როგორც უნდა, ისე მოქმედობს საქალებო გიმნაზიაში.

რაც შეეხება გორის სავაჟო გიმნაზიას, იქაც ქართულ ენას დედინაცვალი ჰყავს.

ამ სასწავლებელს მთელ კლასებში ქართულ ენას თითო გაკვეთილი აქვთ კვირაში და ისიც ბოლო რიგშია მოქცეული.

მეორე კლასში მხოლოდ ეხლა დაუწყვიათ ბუნების კარის კითხვა. და მასწავლებელი ისეთი სისტემით ასწავლის, რომ ყველა დამახინჯებული ენით ლაპარაკობს.

ამ სასწავლებლის არსებობის საღსარია: მოწაფეების სწავლის ფული, გორის ქალაქის საბჭო ეხმარება, თ-დ აზნაურობაც აძლევს 1000 მან. და ამდენსავე ხაზინა აძლევს. თითქმის მარტო ქართველი საზოგადოება ინახავს ამ სასწავლებელს, მაშასადამე, ქართველ საზოგადოებას ხმა-მაღლა შეუძლიან განაცხადოს, რომ ქართული ენა სხვა საგნებთან თანაბრად იყოს დაყენებული.

ხმის ამომღები კი არავინ გვყავს.

სამზრუნველო საბჭოში თ-დ აზნაურთა წარმომადგენელი არ არის და თუ არის თ ნ. თუმანიშვილი, ქართულ ენის განვითარებას ხელს არ უწყობს. გორის ქალაქის წარმომადგენელს მგონი არც კი ახსოვს ქართული ენის ვითარება სასწავლებელში.

დარჩა ერთად-ერთი კნეინა მარიამ ერისთავისა, მეუღლე მომრიგებელ შუამავლის თ-დ მ. რ. ერისთავისა, რომელიც თვისი ერთი სუსტი ხმით ვერას აწყობს ამ სამზრუნველო საბჭოში.

რადგანიც თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი: თელავში თ-დი მაქს ჭავჭავაძე და გორში თ-დი რეზო ერისთავი შესაფერ ღონისძიებას არ იღებენ სასწავლებლებში ქართული ენის განვითარების შესახებ, მოუწოდებ ქართველ საზოგადოებას და მით უმეტეს ქალებს ხმა ამოიღონ და ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

**Legatus.**

(შემდეგი იქნება)

*) სხვა და სხვა მიზეზების გამო ამ წერილის დაბეჭვდა დაგვიანდა.

*) ერთი კვირაა რაც დანიშნეს, მხოლოდ უნცროსს კლასებში არა ჰყავთ, მორიგეობით ასწავლიან კლასის ზედამხედველები, რომლებმაც ქართული ენა არ იციან.

# წერილი ბაქოდან

8 ქრისტეშობისთვეს ბაქოელ ქართველმა საზოგადოებამ გამოსათხოვარი სადილი გაუმართა ქართულ პოლკის მხედრობას სასტუმრო მეტროპოლში. ზეიმის დიასახლისად იყო ქნ. თ. დადიანისა.

ზეიმს მეტად მგრძნობიარე ხასიათი ჰქონდა. ქართ. ქალთა წრის სახელით ქ-ონ მახარობლიძისამ ლოცვა-კურთხევით მიუძღვნა ღვთისმშობლის ხატი. მისმა მგრძნობიერმა სიტყვამ ბევრს გული აუჩუყა. მშვენიერი სიტყვა უთხრა აგრეთვე სუფრის თამადამ თავ. ერისთავმა რაზმის უფროსს დავით ქავჭავაძეს. მოაგონა ქართველობა და სთხოვა გაფრთხილებოდა ყოველ ჯარის კაცის სიცოცხლეს და დაეზოგნა ისინი ისედაც განახევრებულ საქართველოსათვის. ბოლოს, ქება-დიდება მიუძღვნა თავად ჭავჭავაძეს, რომელმაც თავი ისახელა ჩვენს თანამორწმუნე მოლაშქრეთა შორის. „ჩვენ ქართველებს უფლება გვაქვს ვიანაყოთ თქვენებრ გმირის წყალობით, ჩვენ გვრწამს, რომ თქვენი სისხლი არ ჩაივლის უნაყოფოდ საქართველოსთვის. იყ ვ ქართველი, შეუპოვარი და ღირსეული შვილი ჩვენის გმირების მშობელ საქართველოსიო“, დააბოლოვა თვისი სიტყვა თამადამ.

თავადმა ი. დადიანმა მიმართა შემდეგის სიტყვით: წარსულშიაც არსებობდენ ცალცალკედ კახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს და სხ. ეგრედ წოდებული „დრუჟინები“, რომელნიც გააუქმეს, მაგრამ კვლავ აღსდგა ეს სხვა და სხვა კუთხის „დრუჟინები“ ერთ ქართულ პოლკის სახელით. გაუმარჯოს თქვენისა და სხვა და სხვა კუთხის ქართველების შეერთებას. გისურვებთ თქვენი შეერთება ყოფილიყოს საქართველოს ბედნიერების წინამორბედი. გაუმარჯოს ქართულ პოლკს.

აგრეთვე სიტყვა უთხრა თ. ლევან ნაკაშიძემ, რომელმაც სხვათა შორის სთქვა: ძმანნო ქართველნო! ბედნიერნი ხართ, რომ თქვენს ხელში აფრიალდა საქართველოს დროშა.

ერთი საუკუნეა, ეს დროშა ოთხ კედელ შუა ჩაკეტილი იყო. ბევრ ქართველისთვის საოცნებო იყო მისი ხილვა. დღეს კი თქვენს ხელში გიპყრიათ. გაუფრთხილდით ამ წმიდა დროშას, ის ჩვენია! გაუმარჯოს ქართულ დროშას და ქართველ მხედრობას!

უკანასკნელად კი მიესალმა ბ-ონი ვ. თურქია: „მშვიდობით, ძვირფასნო ქართველნო! გემთხოვებით და გაცილებთ ბაქოელი ქართველობა. გაცილებთ, მაგრამ ჩვენვე შეგხვდებით დაბრუნებისას. მხოლოთ არ ვიცით, ვის შეგხვდებით ცოცხალს და ვის მკვდარს, რადგანაც მკვდარი თუ ცოცხალი საყვარელ სამშობლო—საქართველოს უნდა დაუბრუნდეთ, ბაქო კი გამოსასვლელი გზა არი . ნახვამდის!!!

საგულისხმო იყო აგრეთვე საპასუხო სიტყვები ძვირფას სტუმრებისა.

საღამოს საათის შვიდზე მთელმა კრებულმა გააცილა დუდუკით ნავთსადგურამდე.

დუდუკის გაგონებაზე ქართველი ჯარის-კაცები გზაში შეგვიგებენ, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ნავთსადგურზე დაჰკრეს დოლი და დაიწყო ლეკური. ლეკურის დასასრულ ერთ-ურთს გამოვემშვიდობეთ.

**ლალი.**

# მოწოდება

**ქართულ კოოპერატივთ და საურთიერთო დამხმარე საზოგადოებათ.**

ახლოვდება დრო, როდესაც თქვენი წლის ნაშრომს ანგარიში უნდა გაუკეთოთ და მისი ნაყოფი იხილოთ თვით თქვენც და გააცნოთ სხვასაც. ტკბილი და ძვირფასია თქვენთვის თქვენის წლიურის შრომის ნაყოფი. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ამ ნაყოფს თქვენს სრულ კუთვნილებად არ ითვლებთ; რომ მის ნაწილს, თქვენი მიზნის და მიხედვით, უზიარებთ საზოგადო კულტურულ საქმეებს, და, როდესაც იღებდით თქვენს წვლილს, ნუ დაივიწყებთ ქართველ მოღვაწეთა აგარაკს! იგი საზოგადო ეროვნული საქმეა. თუ ქართველი მოღვაწენი და მწერლები ქართველი ერის სულიერი კულტურის გამომსახველნი არიან, მისნი წინამძღვარნი, მესვეურნი და შემოქმენდი,—მათი აგარაკიც ქართველი ერის სულიერ შემოქმედების სავანედ, თავშესაფარად გადაიქცევა.—თქვენ ხალხის ფართო წრეში იმყოფებით, თქვენში, როგორც ფოკუსში, იკრიბება თვით ხალხის მრავალმხრიანობის სულიერი ძაფები, და თქვენგან გამოღებული წვლილიც იქნება თვით ხალხის გულის სიღრმიდან ამოხეთქილი მტკიცე და შეურყეველი სურვილი ხსენებული აგარაკის აშენებისა. ხალხის სურვილი კი უტყუარი თავდებია საქმის სრულის გამარჯვებისა.

მაშ გამოიღეთ თქვენც თქვენი წვლილი ქართველ მოღვაწეთა აგარაკისათვის! ნუ დაივიწყებთ, რომ ამ ჟამად თქვენზეა დამოკიდებული მისი დროზე აშენება!

ქ. ქ. მ. ს. გამგეობის თავმჯდომარე **გ. ჟორდანია.**

მდივანი **ივ. ზერიაშვილი.**

—

P. S. ფული გამოგზავნეთ შემდეგი მისამართით: Судебная, № 26, кв. Г. Жорданія, О-ву любителей грузинской культуры.

ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს მოწოდება.

# წერილი ზესტაფონიდან

შიმშილი კარზე გვადგია; არსაით მშველელი, არსაით მხსნელი. ერთი თვის სარჩოც არავის მოსვლია გვალვისა და მუშახელის ნაკლებობის გამო. ყველას თავ-პირი ჩამოსტირის და ლაღადებს: „რა გვეშველება, რით გამოვკვებო ცოლ-შვილი, პატრონი კაცი ვინაა“. სიმინდი არ იშოვება, თუ იშოვება, ისიც ერთს-ორს ჩაუგდია ხელში, მონაპოლიათ გაუხდიათ მისი მოტანა და დარიგება; ურიგებენ ზედმეტ ფასებში, ხანდის-ხან უვარგისს, თითო-ოროლა ფუთს; ხანდის-ხან არც ისაა. სასოფლო ბანკები, კოოპერატივები, საზოგადოებანი, რატომ მეტს უნარს არ იჩენენ. რაღა დროს უნდა ხალხს მიშველება, თუ არ ახლა! ახლა, ნაშემოდგომევს რომ ასეთი ქესატობაა, აწი რაღა იქნება! თუ რამე სახსარი არ გამონახა ან მთავრობამ, ან საზოგადოებამ არ იზრუნა, პასუხს აგებენ ყველანი ხალხის წინაშე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების ასი წლის თავი ზესტაფონშიც მოიგონეს. ორკლასიან სამრევლოსაეკლესიო საქალებო სკოლის დარბაზში ქრისტეშობისთვის 11-ს გამართა ნ. ბარათაშვილის საღამო მასწავლებელმა ქ. ს. ჩხაიძის ასულმა წაიკითხა რეფერატი ნ. ბ—შვილზე, დაახასიათა იგი მოკლედ და გააცნო საზოგადოებას მისი ბიოგრაფია. შემდეგ პატარა გოგონა-მოწაფეებმა იმღერეს ბარათაშვილის ლექსები, წაიკითხეს მისივე ლექსები მოხდენით და ლიზათიანად; დაიდგა სცენები და, დასასრულ, სურათები; წაკითხულ იქმნა მწირი სარდალი. იქ დამსწრე საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა.

12 ქრისტეშობისთვეს ზესტაფონს მოხდა არგვეთის სამოწესრიგო სამღვდელოების კრება მომწესრიგე მღ. ლ. ფირაძის თავმჯდომარეობით. კრებამ, სხვათაშორის, დაადგინა: აღდგენილ იქმნას საქართველოს ეკლესია თვის უფლება-ქონებით, ე. ი. დაუბრუნდეს მას სრული ავტოკეფალობა, რისთვისაც შეუერთოს ამ მხრივ აქაურმა სამღვდელოებამ თვისი ხმა საქართველოს დანარჩენ სამღვდელოების ხმას, გარდა ამისა, მტკიცეთ მოითხოვეს: არამც და არამც არ შეიცვალოს ეკლესიის ბეჭდები და ის ბეჭედი დარჩეს კვლავ ქართულ წარწერებით. აირჩიეს დეპუტატებად: მ. მ. ლ. ფირაძე და კ. ანთაძე.

ხმები გავრცელდა აქეთ, თითქო აქაური ვაჭარი ს. მამალაძე ქ. ფოთში გაეტაცნოთ უცნობთ.

ზესტაფონელები, ჩვეულებრივ, მომავალი ნინოობის გადახდასაც ემზადებიან.

ეფრემ მცირე.

რედაქტორ-გამომცემელი **ხარლამ ჯაფარიძე**

# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3,20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, . 6 „ | 24 „ | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |


# სუსუნაკი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება სუსუნაკის წამლით პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით“. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნაკს. საშუალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნაკის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

**თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს** ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა **№ 12 отд. 3.** მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეტავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

„სავაჭრო სახლი“ (საწყობი)

**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა**

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**ისყიდება პარტიებით ყოველნაირი საგალანტერეიო საქონელი:** ჩულქეულობა, ქოლგები, თეთრეულობა, ვიშიგკები, კოსმეტიკა და სხვა და სხვა ახალმოდის საქონლები ხელმისაცემ ფასებში სხვა და სხვა სოფლის კოოპერატივებისთვის.

(101—წ.)

# ძირს ტანჯვა, ძირს საერთო სისუსტე, ძირს სქესობრივი უძლურება!

**გურჩევთ ყველას,** ვინც საერთო სისუსტეს გრძნობს, სქესობრივად უძლურია—შეიძინოს ახლად გამოგონილი საშუალება პილულები **მოლეციტინი** (დასალევი) ნებადართულია მთავარ სამედიცინო საბჭოსაგან № 801.

— **მოლეციტინი** საშუალებაა სისხლ-ნაკლებობისათვის, უმადობისათვის, რახიტის, ნევრასტენიის, ცენტრალურ ნერვთა სისტემის ანთების წინაარმდეგ.

— **მოლეციტინი** მოწონებულია ბევრ ექიმისაგან, როგორც აღმადგენელი ორგანიზმისა და ავადმყოფის გამომბრუნებელი.

— **მოლეციტინი** უვნებელი საშუალებაა და ჰრგებს არა მარტო ავადმყოფობის დასაწყისს, არამედ ავადმყოფობის გაარჯლების შემდეგაც.

— **მოლეციტინი** მშვენივრად მოქმედებს ვერცხლის წყალით და სხვა პრეპარატებით სიფილისის წამლობის დროს დაუძლურებულებზე. აღადგენს ძალას, მადას ჰმატებს, ნერვებს ამშვიდებს, ტეხას და წელის ტკივილს სპობს.

— **მოლეციტინი** სპობს უძილობას, ყრუობას, ყურებში წივილს, ნევრალგიურ ტკივილებს, სუნთქვის შეკვრას, აჩერებს თმის ცვენას.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს ნერვების აშლილობაზე საზოგადოდ და უმთავრესად ქალების ავადმყოფობაზე.

— **მოლეციტინი** ჰრგებს აგრეთვე სპაზმოფილის ასტმატიურ მოვლენების დროს და საზოგადოდ ნერვიულ ავადმყოფობის დროსა.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს აგრეთვე ქალების თვიურების მოსპობის დროს და ანელებს გულის ფრიალს, თავბრუ ხვევას, ოფლიანობას, უძილობას.

— **მოლეციტინი** ჰშველის ორსულობის დროს, სპობს უ. უნებობას (რაიც ძლიერ ხშირია) და გულის რევასა.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს ონანისტებსა და სქესობრივად უძლურებზედ.

— **მოლეციტინი** მარგებელია როგორც დიდებისათვის, ისე ბავშვებისათვის.

— **მოლეციტინი** ჩქარა იკარგება ორგანიზმში და არ მოქმედებს კუჭზე.

— **მოლეციტინი** ძლიერ ადვილი სახმარი წამალია, ყველას შეუძლიან დამოუკიდებლად იწამლოს ყველგან, სადაც უნდა იყოს.

**თითო კოლოფის ფასი 3 მან.** სრული კურსი წამლობისა საჭიროებს 5-დან 10 კოლოფამდე. იგზავნება ფასდადებით 5 მან. ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **რ. ი. შმიდტთან.** Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3. თხინვალის ქუჩა № 12. მე-2 საპ. უბანი გოლოვინის პროსპ. მამადავითის ქუჩის ახლოს.

(თ.)

თევზის მრეწველნი

**ძმ. ძეწველოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ძეთ**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ **ხიზილალა**. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.